№ 80 1877—1905 № 80

პარასკევი, 20 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პარასკევი, 20 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

თ-დნი იასონ დავითის-ძე, შოთა იასონის ძე და ბაბილინე იასონის ასული გელოვანები გულითად მადლობას სწირავენ ყველა იმათ, ვინც დეპეშებით თუ წერილებით დიაღ უბედურებაში თანაგრძნობა გამოუცხადეს.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაგანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა

„კოლხიდის“

გამგეობა ამით აცხადებს, რომ, რადგან 30 აპრილს დანიშნული მორიგი კრება ამხანაგობის წევრებისა არ შესდგა, წესდების მე-35 § თანახმად, დანიშნა მეორე კრება 29 მაისს ამა 1905 წლისა. განსახილველი საგნები იგივეა, რაც პირველ კრებაზე იყო დანიშნული. (1—1)

რუსეთის ფლოტის ბედი

დეპეშებში ყველას უკვე წაკითხული ექნება, რომ როჟესტვენსკი დამარცხდა ..

ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში მთელი კაცობრიობა მოუთმენლად ელოდა ამბებს იქიდან, სადაც უნდა დატაკებოდა ერთმანეთს ორი ძლიერი ფლოტი, ორი სახელმწიფო,—იაპონია და რუსეთი...

მას შემდეგ, რაც პორტ-არტურის ესკადრა გაანადგურეს იაპონელებმა, რუსეთში, დიდიხნის მომზადებისა და მეცადინეობის შემდეგ, მოეწყო ახალი ძლიერი ფლოტი და ამ ფლოტის უფროსობა რუსების საუკეთესო მეზღვაურს,—როჟესტვენსკის,—მიენდო...

ფლოტი წავიდა ..

ზოგიერთს გამარჯვების იმედიც ჰქონდა...

მხოლოდ ზოგიერთნი, საქმის მცოდნე და საქმეში უფრო ჩახედულები, როგორც, მაგ., კლადო, ამტკიცებდნენ, რომ ყველა გაგზავნილი გემი იაპონელებთან შეტაკების დროს უთუოდ დაიღუპებაო.

კლადოს წინასწარმეტყველება ასრულდა: რის ვაი-ვაგლახით შემზადებული ფლოტი აღარ არსებობს და თვით როჟესტვენსკი ტყვედ წაიყვანეს იაპონელებმა...

ეს ბრძოლა, რომელმაც კიდევ რამოდენიმე ათასი ადამიანი შეიწირა და ხალხისაგან სხვადასხვა გადასახადების სახით აღებული მილიონები ჩაჰყარა ზღვაში, კიდევ ერთი ზედმეტი გაკვეთილია იმათთვის, ვინც მხოლოდ ბიუროკრატიულ ,,აპეკუნობაში‘‘ ეძებს ხსნას და აცხადებს, რომ ხალხი, საზოგადოება ჯერ მომწიფებული არ არის იმისთვის, რომ თავისი საქმეები თვითონვე განაგოსო.

რამდენად მომზადებული იყო ბიუროკრატია საქმის წარსამართავად, ეს ჯერ კიდევ ცხადად არ ჩანდა მაშინ, როდესაც გარედ მშვიდობიანობა სუფევდა.

მაგრამ განსაცდელის დრო დადგა. დაიწყო ომი და აშკარად გამოჩნდა ბიუროკრატიის სრული უვარგისობა.

პორტ-არტურის დაღუპვა, დამარცხება ტიურენჩენთან, დამარცხება ვაფანგოუსთან, გაიჯოუსთან, ლიაოიანთან და მუკდენთან ხმელეთზე, დამარცხება ზღვაშიაც, საქმის საერთო მოუწყობლობა, რომლის შედეგი იყო ათი-ათასობით ხალხის დახოცვა და ხალხის სიმდიდრის დაღუპვა შორეულ-აღმოსავლეთში,—ყოველივე ეს ცხადად ღაღადებს და ამტკიცებს, რომ ბიუროკრატიას საქმის გაძღოლა არ შესძლებია...

ხალხის მოუმზადებლობაზე ლაპარაკი მეტია, აქ ბიუროკრატიის მოუმზადებლობაზე უნდა ილაპარაკოს ადამიანმა!

ამ ომის ხარჯი ხალხმა უნდა ამოიღოს ჯიბიდან გადასახადის სახით, ხალხის საუკეთესო ახალგაზრდები იღუპებიან ბრძოლაში და ნუ თუ ხალხს არ უნდა ეკითხებოდეს მისი სიცოცხლისა და ქონების საქმე... ნუ თუ ბიუროკრატია უფრო დაინტერესებულია ხალხის კეთილდღეობაში, ვიდრე თვით ხალხი?

ეს საშინელი ომი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ამნაირად საქმის წაყვანა არ შეიძლება შემდეგში. ის გაუბედავი ხმები, რომელიც აქა-იქ გაისმის რუსეთში, თანდათან უფრო ძლიერი ხდება და თანდათან უფრო გაბედულად აცხადებს ხალხი თავის სურვილს, რომ მოისპოს ეს დაუსრულებელი სისხლის ღვრა, რომელსაც აღარ შეუძლია იმაზე მეტი სარგებლობის მოტანა რუსეთისათვის, რომელიც უკვე მოუტანია...

ბიუროკრატიას, რომელმაც ამ ომში თავისი სრული მოუმზადებლობა და უვარგისობა დაანახვა ქვეყანას, მეტი გზა აღარა აქვს,—უნდა აღიაროს თავისი უძლურობა და დაუთმოს მართვა-გამგეობის საქმე იმას, ვისაც იგი პირდაპირ ეხება,—ე. ი. ხალხსა და ხალხის წარმომადგენლობას.

რომ ეს აუცილებელია, ამის თავდებია როჟესტვენსკის სამაგალითო დამარცხება...

ეროვნულ საკითხის შესახებ

რუსეთის საპოლიტიკო ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრეს საკითხთაგანი იყო ყოველთვის და ახლაც არის სხვადასხვა ეროვნებასთან მთავრობის დამოკიდებულება და საზოგადოდ, ეგრედ წოდებული, ეროვნული საკითხი. თანამედროვე საზოგადო-საპოლიტიკო მოძრაობაში ამ საკითხის სიდიადე აშკარად გამოჩნდა და, როდესაც სახელმწიფო წესწყობილების ძირითადა შეცვლაზე აღიძრა ლაპარაკი რუსეთში, მაშინვე სხვადასხვა ეროვნებამ ხმა ამოიღო, გამოსთქვა თავისი მოთხოვნილება, გაიხსენა თავისი შელახული უფლება...

ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში არ ყოფილა ისეთი კრება, სადაც საპოლიტიკო საქმეებზე ჰქონოდათ ლაპარაკი და ეროვნულ კითხვასაც არ შეხებოდნენ... ყოველთვის ამ საკითხის შესახებ ცხარე კამათი აღძრულა და ამ კამათში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელნი და თვით რუსებიც...

ზოგიერთი ეროვნება ცალიერ ლაპარაკსაც არა კმარობდა და ემზადებოდა და ემზადება საერო წარმომადგენლების არჩევისათვის, უნდა საქმით განახორციელოს ეროვნული თანასწორობა რუსეთში.

ეროვნული საკითხი ზოგან შინაურ ბრძოლის სისხლის ღვრის გზასაც დაადგა, როგორც, მაგ., ბაქოსა ან ჟიტომირს მელიტოპოლში ან ნახიჩევანსა...

სარეაქციო ელემენტები წინადაც სარგებლობდნენ ეროვნულის განხეთქილებით იმისთვის, რომ ამ გზით დაემყარებინათ „მშვიდობიანობა“ რუსეთში.

გავიხსენოთ სამოციან წლებში პოლონელთა აჯანყების მოსპობა, ოთხმოციან წლებში ურიების ამოჟლეტა, ბიუროკრატიის თვითნებობა სიპიაგინისა და პლევეს დროს და ფინლიანდიის შევიწროვება, ურიების ამოჟლეტა კიშინევსა, გომელში. ბიუროკრატიის წარსული ისტორია ასეთ მაგალითებს გვიჩვენებს, და ამ ძალმომრეობას, ამ სისხლის ღვრას ჩადიოდა ბიუროკრატია რუს ,,პატრიოტების‘‘ და ,,ნაციონალისტების‘‘ გულისთვის.

,,პატრიოტობა‘‘ ,,ნაციონალიზმი‘‘—ორი დიადი ცნებაა, მაგრამ ბიუროკრატიის ხელში ორივე დამახინჯებული შეიქმნა. ბიუროკრატიამ ისეთი ჩირქი მოსცხო ორსავე ცნებას, რომ თითქმის ერიდება ადამიანი ამჟამად იმის თქმას, ეროვნულ მიმართულებას ვადგივარო.

ეროვნულ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა თვით რუსებისათვის არის საჭირო, რომ ამნაირად ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ბიუროკრატიული პატრიოტობა.

სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა ეროვნება ამჟამად ასე ცხარედ ეკიდება ამ საქმეს და ცდილობს სამართლიანობის და ეროვნულ თანასწორობის ნიადაგზე ააგოს მომავალი საპოლიტიკო შენობა.

მართლაც, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ერთმანეთში სხვადასხვა ეროვნებას მომავალ რუსეთში, როგორ უნდა შერჩეს რუსეთს შინაური ერთობა ისე, რომ ამის გამო არ შეეშალოს ხელი ყველა ეროვნების ეროვნულ-კულტურულ დამოუკიდებლობას? აი, ამ საკითხის გადაწყვეტაზე ფიქრობს ამჟამად ყოველი ადამიანი რუსეთში.

პროგრესიულ ელემენტების უმეტესი ნაწილი, რასაკვირველია, აღიარებს, რომ ყველა ეროვნებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული ეროვნულ-კულტურულ თვით გამორკვევის უფლება, რომ უნდა იყოს შემოღებული ენისა და სარწმუნოების თანასწორობა, რომ ყველა ეს უფლება სახელმწიფოს ძირითად კანონებით იყოს უზრუნველყოფილი.

დემოკრატიული პარტიები პირდაპირ აცხადებენ, რომ საამისოდ აუცილებლად უნდა მიენიჭოს ავტონომია ყველა იმ ეროვნებას, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული ტერიტორია, რომ ყველა ამნაირ ეროვნებას უნდა ჰქონდეს თავისი ადგილობრივი საერო კრება.

ამავე აზრს ადგია სხვადასხვა ეროვნება რუსეთში.

ახლა თვით ზომიერებიც აცხადებენ, რომ საჭიროა მოისპოს რუსეთში ეროვნული შევიწროვება, მაგრამ საჭიროა კანონის ძალით იყოს ცნობილი ყოველი ერი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული... პრაქტიკულად ამისი შემოღება ძნელია, მაგრამ შესაძლებელიც არის.

უნდა იყოს კიდეც შესაძლებელი, ვინაიდან მხოლოდ მაშინ შეურიგდება რუსებს სხვადასხვა ეროვნება,—პოლონელი, ურია, კავკასიელი და სხვებიც, რომელთაც ამჟამად სძულთ რუსების ხსენება, რადგანაც ყველა რუსი „მოსკოვის ვედომოსტებს“ პატრიოტი ჰგონია.

საჭიროა ეს სიძულვილი მოისპოს და მაშინ აღარ დაირღვევა რუსეთი, ერთობის შესარჩენად აღარ იქმნება საჭირო ძალა.

ყოველივე ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ ამ ცხად აზრებსაც გამეორება სჭირია (ნ. ჟ.).

ვას. გოლუბევი.

ერთ-პალატიანი და ორ-პალატიანი წარმომადგენლობა *).

ხალხის წარმომადგენლობა ყველგან ერთნაირად მოწყობილი არ არის. ზოგან საქმეს განაგებს ერთი საერო კრება, ერთი პალატა (გერმანიაში—რეიხსტაგი, ბულგარიაში—კრებული, სერბიაში—სკუპშჩინა), ზოგან კიდევ არსებობს ორი კრება, ზემო და ქვემო პალატა (ინგლისში ქვემო-პალატა და ლორდების პალატა, ავსტრიაში—დეპუტატების პალატა და ზემო-პალატა, საფრანგეთში—დეპუტატების პალატა და ზემო პალატა.)

იქ, სადაც ორი კრებაა, ორი პალატა, ქვემო პალატა ყოველთვის ხალხის უმრავლესობის წარმომადგენელია; ქვემო პალატა ღარიბ ხალხის და საშუალო ქონების პატრონთა შვილია. ზემო პალატა კი, პირიქით, ხალხის მხოლოდ ერთ ნაწილის წარმომადგენლად ჩაითვლება, იგი არისტოკრატიის შვილია. ამიტომ ამბობდნენ, რომ იქ, სადაც მხოლოდ ერთი პალატა არსებობს, ამის მიზეზი თვით ხალხის დემოკრატიული მიმართულება არის, ის გარემოება, რომ იქ არ არსებობს ნამდვილი არისტოკრატია. ეს მართალია, მაგრამ სავსებით კი არა. მართალია სერბიასა და ბულგარიაში არისტოკრატია არ არის, მაგრამ შეერთებულ შტატებში ხალხის დემოკრატიული მიმართულება უეჭველია, თუმცა იქაც ორი პალატა არსებობს. საზოგადოდ ძნელი გამოსარკვევია, რატომ, რა მიზეზისა გამო ზოგან ორი პალატა არის და ზოგან ერთი. ამის გარკვევას დღესდღეობით არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობაც არა აქვს.

ის კი უნდა სთქვას უთუოდ ადამიანმა, რომ საზოგადოდ ზემო-პალატა ყოველთვის უფრო ცინჯია, რომ ზემო-პალატაში უფრო ძნელად იცვლებიან წევრები და რომ მას შეუძლია ამიტომ ქვემო-პალატის გატაცებულ სურვილთა შეჩერება ან შეზღუდვა: ქვემო-პალატა ყოველთვის უფრო ცხარობს, უფრო ჩქარობს, ახალგაზდასავით მოქმედობს.. ზემო-პალატა კი „გამოცდილებით სავსეა“, თუმცა არ იცის ადამიანმა, რაგვარია ეს გამოცდილება, რას ემსახურება ეს გამოცდილება—საზოგადოების კეთილდღეობას თუ საკუთარ ჯიბეს.

როდესაც ზემო-პალატა რამეში ეწინააღმდეგება ქვემო-პალატას, ამ უკანასკნელს ყოველთვის შეუძლიან გაიმარჯვოს ბრძოლაში.

ავიღოთ, მაგ., ინგლისი. ზემო-პალატაში წევრებად ითვლებიან ლორდები, რომელთაც ამ თანამდებობას ანიჭებს მეფე და რომელნიც ზემო პალატის წევრებად სიკვდილამდის რჩებიან. ზემო-პალატაში მყოფი ლორდები უმდიდრესი ხალხია ინგლისში; მათი საკუთრება ინგლისის ერთი მეექვსე ნაწილია! ამიტომ, ცხადია, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ყოველსავე ახალ კანონის შემოღებას, რომელიც ღარიბ ხალხისთვის სასარგებლოა და რომელიც მათ ჯიბეს დააკლებს რასმე. თუ ვინიცობაა, ქვემო პალატამ ასეთი კანონი მიიღო, ზემო-პალატის წევრები, საითკენაც ეს კანონი უნდა გადვიდეს დასამტკიცებლად, მისი წინააღმდეგნი ხდებიან და კანონი რჩება დაუმტკიცებელი.

ადამიანს ეგონება, რომ ყოველივე სასიკეთო კანონის შემოღება ამნაირად შეუძლებელი გახდება, ვინაიდან ზემო-პალატა ხალხის უმეტესობისთვის სასარგებლო კანონების შემოღებას ყოველთვის გაუწევს წინააღმდეგობას, მაგრამ არა! მთავარ-მინისტრს, რომელიც ქვემო-პალატის წარმომადგენელია, შეუძლიან ზემო-პალატაში იმდენი ახალი ლორდი დასვას, რომ შესდგეს მისთვის სასარგებლო უმეტესობა .. ასეთივე ზომის მიღება შეიძლება ზემო-პალატის შესახებ ავსტრიაშიაც.

ამნაირად იმ ქვეყნებშიაც, სადაც ორი პალატა არსებობს, საქმით მთელი საკანონმდებლო უფლება მაინც აქვს სავსებით მინიჭებული ქვემო პალატას.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 მაისი.

პარიზი, 18 მაისი. ისპანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელიც მეფეს ახლდა პარიზში, განაცხადა, მაროკოში მომხდარი უკანასკნელი ამბები ვერ შესცვლის საფრანგეთისადმი იმ მოვალეობას, რომელიც ისპანიამ იდო თავზედ.

სოფია, 17 მაისი. უნივერსიტეტი დახურული იქნება შემოდგომამდის. აკადემიის საბჭომ ამჯობინა, ამგვარი საშუალება მიეღო, ვიდრე ობსტრუქციის ჩასაქრობად ჯარისთვის დახმარება ეთხოვნა.

სიმფეროპოლი, 18 მაისი. გუბერნატორმა ნება დართო, მოიწვიონ საგუბერნიო საგანგებო კრება ზოგიერთ ეკონომიურ საკითხების გამოსარკვევად.

ყაზანი, 18 მაისი. ყაზანის სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტი მოპარულ ყაზანის ღვთის-მშობლის ხატს გულ-მოდგინედ ეძებს. კომიტეტმა შეიძინა სახლი, რომელშიაც იდგა ბოროტ-მოქმედი ჩაიკანი ოჯახობით.

კამიშლოვი, 18 მაისი. სავაჭრო დაწესებულებების ნოქართა შორის შესდგა ორგანიზაცია, რომელსაც აზრადა აქვს მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კოვნო. იანოვოში გადაიწვა 400 კომლი. უსახლკაროდ დარჩა 2,000 ოჯახი. ზარალი ერთ მილიონს აღემატება. გამხეცებულმა ბრბომ ერთი კაცი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ, კოსტელს ცეცხლი ამან წაუკიდაო, ცეცხლში ჩააგდო, მაგრამ პოლიციამ გადაარჩინა. მიღებულია ღონისძიებანი, რომ დაზარალებულთ სანოვაგით დახმარება აღმოუჩინონ. შემდგარი კომიტეტი ყველას დახმარებას სთხოვს.

ლონდონი, 18 მაისი. „მორნინგ ლიდერ“-ის კორესპონდენტი აცხადებს, მალე გამომჟღავნდება ის ბოროტ-მოქმედებანი, რომელნიც სამხრეთ-აფრიკის ომის დროს ჯარების სურსათის ჩამბარებლებმა ჩაიდინესო. პარლამენტის ერთმა წევრმა ამ გარემოების შესახებ კერძო ცნობები მიიღო. მთავრობა ცდილობს, რომ ეს ცნობები ხალხში არ გავრცელდეს. როგორც ამბობენ, ეს ბოროტი საქმე ყველას განცვიფრებს.

ვაშინგტონი, 18 მაისი („მორნინგ პოსტ“-ი). ვილჰელმმა აცნობა რუზველტს, საერთაშორისო კონგრესისა, რომელმაც ზავის პირობები უნდა შეიმუშავოს, მე ძალიან წინააღმდეგი ვარო, სხვა სახელმწიფოები არ უნდა ჩაერივნენ, რუსეთი და იაპონია თვითონვე უნდა მორიგდნენო. ვილჰელმი ჰფიქრობს, კონგრესში მონაწილეობის მიმღები სახელმწიფოები, თავის სარგებლობის მიღწევას ეცდებიან, ეს უთანხმოებას გამოიწვევს და მსხვერპლად ჩინეთი გახდებაო. როგორც ამბობენ, რუზველტს ამაზე უთქვამს, მე ხმას არ ამოვიღებ, სანამ რუსეთი შუამდგომლობას არა მთხოვსო.

პარიზი, 18 მაისი. გუშინ ქუჩაში ეტლით მიმავალს ისპანიის მეფეს ვიღაც კაცი ხანჯლით მივარდა და ჰყვიროდა: „სიკვდილი მტარვალს, უნდა დაიღუპოს ინკვიზიტორი“. პოლიციამ შეიპყრო იგი. ანარქისტია, გვარად გარნერი. შეიპყრეს აგრეთვე მამულე დეკიუსი, რომელიც ლუბეს აგინებდა. ბრბოს უნდოდა დეკიუსი გაეწიწკნა, მაგრამ პოლიციამ დაიფარა.

პეტერბურგი, 17 მაისი. პირველი სხდომა კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს გამოსძებნოს საგლეხო მიწად-მფლობელობის განსამტკიცებელი ღონისძიებანი, 17 მაისს შესდგა, გორემიკინის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ მოკლედ განმარტა უმაღლესად მინდობილ საკითხის დიდი მნიშვნელობა და 5 უმთავრესი მუხლი აღნიშნა, რომელიც მოხსენებული იყო ამ კომისიის მოსამზადებელ კრებაზე 18 მაისს. გორემიკინმა კრების სურვილისამებრ საჭიროდ სცნო, რომ კომისიის მუშაობა ისე განწესრიგდეს, რომ მომდინარე შემოდგომაზევე დამთავრებული კანონ-პროექტები დასამტკიცებლად უმაღლესად წარედგინოს.

კალიში, 17 მაისი. როგორც გლეხების მოძრაობა, ისე ქარხნის მუშათა გაფიცვა ოზორკოვის მიდამოებში ადმინისტრაციამ ჩააქრო.

პეტერბურგი, 17 მაისი. უმაღლესის სენატის საგანგებო საკრებულოს დადგენილება კოლიაევის შესახებ 10 მაისს სისრულეში მოიყვანეს.

სამარა, 18 მაისი. გაზეთები ჩვიდმეტი დღის განმავლობაში არ გამოდიოდა. დღეს გამოვიდა. სადამოზე კომისიას ექნება სხდომა, მექარხნეთა და მუშათა შორის დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად.

ვიტებსკი, 18 მაისი. ტრამვაის დირექცია და მოსამსახურენი შეთანხმდნენ. ტრამვაის მიმოსვლა დაიწყო.

ყაზანი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გუბერნატორმა საბჭო ძველი ხმოსნებით შეავსო. მეორედ არჩევნების შესახებ შუამდგომლობაზე უარი მოუვიდათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

19 მაისი.

მოჯი, 16 მაისი. კრეისერ „ადმირალ ნახიმოვ-“ის კაპიტანი და სხვა ოფიცრები ზღვაზე რამდენსამე საათს დასცურავდნენ. ძალ-მიხდილნი სიმონოსეკის მეთევზეებმა გადაარჩინეს და, როგორც სამხედრო ტყვეები, ნაპირზე გადმოიყვანეს.

ტოკიო. ყველა ნავთსადგურებში მრავალი დაჭრილი მოჰყავთ, იაპონელები დიდის მზრუნველობით უვლიან. დაუყოვნებლივ ბევრი ექიმი მოვიდა. სრუტის მიდამოების ყველა ნავთსადგურები სავსეა რუს-დაჭრილებით. იუწყებიან, რომ „სისოი ველიკი“ 15 მაისს ჩაიძირესო. ამბობენ აგრეთვე, „იზუმრუდ“-თან ერთად ორი დიდი კრეისერი ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალ. ხომაიდასკენ წავიდნენო, ჰგონიათ ეს გემები „კნიაზ სუვოროვი“ და ,,ავრორა“ უნდა იყოსო. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ ეს გემები დატყვევებას ვერ ასცდებიან, რადგან რუსის გემების მოლოდინში, იაპონელები ვლადივოსტოკის შესავალში ჰყარაულობენ. ბრძოლის ვითარება თანდათან ირკვევა. გამოირკვა, რომ იაპონიის მზვერავმა

---

*) ფ. მუსკატბლიტის წერილიდან.

გემმა რუსეთის ესკადრის ბინა 13 მაისს აღმოაჩინა. რუსები ცუსიმის სრუტეში 14 მაისის დილის 7 საათზე გამოჩნდნენ. ჯავშნოსანმა „ჩინიე“-მ რუსები, რომელთაც სროლა დაუწყეს, გაიტყუა. ამტკიცებენ, რომ წყალ-ქვეშ მავალმა ნავებმა იერიშის დროს დიდი სასარგებლო სამსახური გასწიესო.

ამტკიცებენ აგრეთვე, რომ კრეისერი „გრომობოი“ ვლადივოსტოკიდან გამოსვლის დროს წყალქვეშით ნაღმს წააყდაო. ამბობენ, იაპონიის გემი „სადომარუ“, რომელიც შარშან თითქმის ჩაძირული იყო, ცუსიმის ბრძოლაში თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდაო! იაპონელთაგან დატყვევებული გემები იაპონიის ნავთსადგურებში მოიყვანეს: „ორიოლი“—მაციაში, „იმპერატორი ნიკოლოოზ I“, „გენერალ-ადმირალ იპრაქსინი‘‘ და „ადმირალ სინიავინი“—სასებოში.

შანჰაი, 18 აპრილი. აქ მოვიდა გემ—„სვირის‘‘ მეზღვაურთა ერთი ნაწილი. ამბობენ, რომ «ოსლიაბლია» და „იმპერატორი ნიკოლოოზ I“ წყალქვეშ მავალ ნავებით ააფეთქეს და ჩასძირესო. „სვირის“ ეკიპაჟმა დაინახა, როგორც იწოდა იაპონიის ერთი გემი და სხვა ორი გემი როგორ ჩაიძირა. ყველაზე უფრო თავგანწირული ბრძოლა ორიდან—ექვს საათამდე იყო. „კორეიასა“ და „სვირს“ ებრძანა, ბაირაღი ჩამოეშვათ, ან წასულიყვნენ. იაპონელები აღიარებენ, რომ მათ დაჰკარგეს ორი ჯავშნიანი გემი, ერთი კრეისერი და ცხრა ნაღმიანი.

პეტერბურგი, 18 მაისი. დეპეშა ინფანტერიის გენერალ ლინევიჩისა მის უმაღლესობასთან: 11 მაისს სოფელ განგოუძის მიდამოებში ჩვენმა რაზმმა ხელში ჩაიგდო იაპონელთა სურსათის რამდენიმე ურემი, რომელსაც ჩინელთა შეიარაღებული ცხენოსანი მისდევდა.

ტოკიო, 17 მაისი. აქ ჰფიქრობენ, რომ 14 მაისს საღამოს ბრძოლაში წყალ-ქვეშ მავალი ნავებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ჰონკონგი, 17 მაისი. ინგლისის ესკადრა, რომელიც ჰონკონგის მიდამოებში ტრიალებდა, შაბათს ვეიჰაივეის წავა.—რუსეთის 56 ტვირთმზიდავი გემი ეხლა საიგონში სდგას.

ლონდონი, 18 მაისი. ტოგოს მეექვსე მოხსენება მივიღეთ, რომელიც „ოსლიაბიას“ „ნავარინის“ და „სისოია ველიკის“ დაღუპვას ამოწმებს. 17 მაისს საღამოს 10 საათზე გამომჟღავნებული ოფიციალური ცნობები ამოწმებენ, რომ რუსეთის ექვსი ჯავშნიანი გემი დაიღუპა. ნაღმიანი „ბოროდინო“ და ოთხი ჯავშნიანი გემი ტყვედ წაიყვანესო. ჩაძირეს „კამჩატკა“, „ირტიში“, და სამი კონტრ-ნაღმიანი გემი. ამ სახით რუსეთმა 22 გემი დაჰკარგა, რომელთა წყალ-წყვა 153411 ტონს უდრისო.

პარიზი, 18 მაისი. „ეკო დე პარი“ იუწყება: მინისტრთა წრეებში ხმა დადის ზავის ჩამოგდებასა და შუამდგომლობაზე. ოფიციალური წრეები საზავო მოლაპარაკების დაწყებას აუცილებლად სთვლიან. ამერიკული გაზეთები აღნიშნავენ, რომ თუმცა ომის დროს ჩვენი თანაგრძნობა იაპონიისკენ იხრებოდა, მაგრამ პრეზიდენტ რუზველტს ვურჩევთ რუსეთს თავისი სამსახური შესთავაზოსო. „ტრიბუნა“ წინააღმდეგია შუამავლობისა, რადგან რუსეთი ხმელეთზე ისევ ძლიერია და ხარბინის სამხრეთით ნახევარ მილიონი ჯარი უდგასო.

პეტერბურგი, ოფიციალური. რადგანაც ხმა გავრცელდა, კრეისერი „გრომობოი“ დაიღუპაო, საზღვაო შტაბი აცხადებს, ეს კრეისერი ვლადივოსტოკში სდგას და ომში მონაწილეობა არ მიუღიაო.

ტოკიო, 18 მაისი. რუსის გემები, რომელნიც, როდესაც როჟესტვენსკი სედელის კუნძულებიდან წავიდა, ჩინეთის ზღვაში დარჩნენ, იაპონიის კრეისერებმა აღმოაჩინეს და გაჰფანტეს. გაჰფანტეს აგრეთვე ის გემებიც, რომელნიც სოიას კონცხის მიდამოებში იყვნენ.

პარიზი, 18 მაისი. ამერიკის კონსული შანჰაიდან იუწყება, კრეისერი „სმოლენსკი“ ვუზუნში იმყოფებაო. გერმანიის გემი საავადმყოფო გემად გადააკეთეს.

ტოკიო, 18 მაისი. ტოგოს მეხუთე მოხსენება: იაპონიის ესკადრის უმთავრესმა გემებმა, რუსის უმთავრეს გემების შეპყრობის შემდეგ, 15 მაისს, შუადღის შემდეგ, ბრძოლას თავი გაანებეს. იაპონელები რუსის გემებს რომ ატყვევებდნენ, ამ დროს შეამჩნიეს ჯავშნოსანი „უშაკოვი“, „ივატე“ და „აკუმა“ დაედევნენ მას და შესთავაზეს დანებებოდა. ,,უშაკოვ‘‘-მა უარი განაცხადა. მაშინ საღამოს ექვს საათზე ჩასძირეს იგი. იაპონელებმა გადაარჩინეს 300 მეზღვაური. ,,დიმტრი დონსკოი‘‘ შეამჩნიეს საღამოს 5 საათზე. მეოთხე დივიზია დაეწია მას და ზარბაზანი დაუშინა. ღამე ,,დიმიტრი დონსკოი‘‘-ზე კონტრ-ნაღმოსნებმა იერიში მიიტანეს. მეორე დღეს დილით ის ნაპირზე გარიყული ნახეს.—ნაღმოსანმა ,,საცამი‘‘-მ 14 მაისს შეიპყრო რუსის ნაღმოსანი ,,ბედოვი‘‘, რომელზედაც იყვნენ ადმირალი როჟესტვენსკი და მეორე ადმირალი მძიმედ დაჭრილნი და 80 რუსი, მათ შორის საადმირალო გემის ,,კნიაზ სუვოროვ‘‘-ის ოფიცრები. ყველანი ტყვედ წამოვიყვანეთ.

ლონდონი, 18 მაისი. იაპონიის მისსიამ გამოაქვეყნა შემდეგი დამატებითი ცნობები: კრეისერმა ,,ჩიტოზე‘‘-მ დილით, 15 მაისს აღმოაჩინა რუსის ერთი ნაღმიანი გემი და ჩასძირა იგი. კრეისერმა ,,ნიტაკამ‘‘ ნაღმოსან ,,მიჩაკო‘‘-ს თანხლებით იერიში მიიტანა მეორე ნაღმოსანზე და ჩასძირა. მიღებულ ცნობებით და აგრეთვე ტყვეების ჩვენებით 14-სა და 15 მაისის ბრძოლის შედეგი ამ გვარია: ,,კნიაზ სუვოროვი‘‘, ,,იმპერატორ ალექსანდრ III“, ,,ბოროდინო‘‘, ,,დიმიტრი დონსკოი‘‘, ,,ადმირალ ნახიმოვი‘‘, ,,მონომახი‘‘, ,,ჟემჩუგი‘‘, ,,უშაკოვი‘‘, ერთი კრეისერი და ორი ნაღმოსანი ჩაიძირენ. ,,იმპერატორ ნიკოლოზ I‘‘ ,,ორიოლი“, ,,გენერალ-ადმირალი აპრაქსინი‘‘, ,,ადმირალ სინიავინი‘‘, ღ ნაღმოსანი ,,ბედოვი“ ტყვედ არიან წაყვანილნი. ,,ოსლიაბლია‘‘, ღ ,,ნავარინი‘‘ ჩაიძირენ 14 მაისს შუადღის 3 საათზე. იაპონიის გემების ზარალის შესახებ ცნობები არ მიუღიათ, მაგრამ, აშკარაა, საიმისო ზარალი არ მოსვლიათ. პირველმა დივიზიამ დაჰკარგა 400 მეტი მეზღვაური. პრინცი კოძიბიტო უვნებლად გადარჩა. ადმირალი მიზუ მსუბუქად არის დაჭრილი.

სიტიაზა, 18 მაისი. ჩვენი მოწინავე რაზები ჩინტაფუს უახლოვდებოდნენ, მაგრამ იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს. მთელს ფრონტზე პატარ-პატარა შეტაკება ხდება.

ტოკიო. როდესაც მარკიზმა იმატომ ტოგოს მოხსენება მიიღო, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: რუსეთის მეორე და მესამე ესკადრები, რომელთაც ღირსეულად დასძლიეს ყოველივე სიძნელე და შორეულ აღმოსავლეთს მოაღწიეს, საგრძნობელ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ თქვენ თქვენის ფლოტით შეაჩერეთ რუსები, თავ-გზა აურიეთ და რუსეთის ფლოტის უმთავრესი უფროსი ტყვეთ წამოიყვანეთ. ასეთი დიადი გამარჯვება დიდმნიშვნელოვანია ჩვენის ეროვნულის საქმისათვის. გულწრფელად გილოცავთ თქვენ და, ვსარგებლობ რა შემთხვევით, ღირსეულად ვაქებ ჩვენის იმპერატორის ქველობასაც. გმადლობთ რა თქვენ და თქვენს ხელქვეითებს მრავალს თვეების განმავლობაში ძნელის სამსახურისათვის, გულწრფელად გისამძიმრებთ მოკლულთა და დაჭრილთა გამო.

პორტ საიდ, 18 მაისი. ბრიტანიის გემი ,,იელუნია‘‘ 17 მაისს სევასტოპოლში წავიდა და თან წაიყვანა 1019 რუსი.

პარიზი, 18 მაისი. კორესპონდენტი ნოდო დეპეშით ატყობინებს „ჟურნალ“-ს 14 მაისს, დილის 8 საათსა და 26 წუთზე, რუსების 26 გემი ცისუმაში მოვიდა. პირველი შეტაკება მოუხდათ კრეისერებს, შემდეგ გამოჩნდა იაპონიის მთელი ესკადრა და ასტყდა საშინელი სროლა. ზღვის ღელვა ხელს უშლიდა როგორც ჯავშნოსნებს, ისე მიზანში სროლას. საღამოს ხუთ საათზე რუსეთის ესკადრა აირია და ვლადივოსტოკისაკენ დაიხია. დაზიანებისა გამო კრეისერი „ნახიმოვი“ ცისუბაში დარჩა. ღამით ზღვა დაწყნარდა და იაპონიის ყველა ნაღმოსნებმა ერთად იერიში მიიტანეს. დილით აღმოჩნდა, რომ რუსეთის რამდენიმე გემი ჩაძირულიყო, მათ შორის „ბოროდინოც“, რომელზედაც როჟესტვენსკი იყო. როჟესტვენსკი „ოლეგაზე“ გადაჯდა. 15 მაისს იაპონელები რუსებს კვლავ დაედევნენ. იაპონელები დაბეჯითებით ამტკიცებენ, უმნიშვნელო ზარალი მოგვივიდაო. აქ დაჟინებით ამბობენ, რომ საფრანგეთი და ინგლისი ჩაერევიანო. კორესპონდენტის აზრით, ეს ნაადრევია. საფრანგეთი ვერ ითაოსნებს, ვიდრე რუსეთის განზრახვას არ გაიგებსო.

ლონდონი, 17 მაისი. ინგლისის პრესსა ომის გაგრძელებას უნაყოფოდა სთვლის და ზავის ჩამოგდებას ურჩევს მეომართ. ამერიკის პრესსა ამბობს, რუსეთი უკეთესს შედეგს ზავში ჰპოვებსო. ,,ნიუ-იორკ ტაიმსი‘‘ წინადადებას აძლევს ამერიკელებს, იაპონიას ურჩიეთ კონტრიბუციაზე უარი სთქვასო.

პეტერბურგი, 18 მაისი. ხმები დადის, ვლადივოსტოკში მოვიდა ნაღმოსანი ,,ბრავი‘‘ და ჯავშნოსან ,,ოსლიაბლიას‘‘ 4 აფიცერი და 197 მეზღვაური მოიყვანაო.

(ამის დეპეშა იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. 14 მაისს საღამოს ბრძოლაში ჩაიძირა ადმ. როჟესტვენსკის გემი „სუვოროვი“. თვითონ ადმირალი და მრავალი ოფიცერი ნაღმოსან „ბედოვი“-ზე გადაუყვანიათ. იმ ღამესვე რუსეთის ნაღმოსანი შეხვედრია იაპონიის ნაღმოსანს „საცანამის“, რომელსაც „ბედოვი“ დაუტყვევებია. ამ ნაღმოსანზე აღმოჩენილან თვითონ ადმირალი როჟესტვენსკი, მეორე ადმირალი (ნებოგატოვი თუ ფელკერზამი ?) და 80 აფიცერი და მატროსი. როჟესტვენსკიცა და მეორე ადმირალიც მძიმედ ყოფილან დაჭრილნი. ყველანი იაპონიაში წაუყვანიათ (პ. ს.).

კრეისერი „დიმიტრი დონსკოი“ იაპონიის ნაპირზე გამორიყულა, ასე რომ ეს კრეისერიც დატყვევებულად უნდა ჩაითვალოს (პ. ს.).

ტოკიოდან ოფიციალურად იუწყებიან: იაპონიის გემებს ჯერ არ გაუთავებიათ რუსეთის გადარჩენილ გემების დევნა (სულ გადარჩა 4 გემი) და ამჟამად ამ გემებს ეძებენო (ს. ა.).

იქიდანვე იუწყებიან, კრეისერი „იზუმრუდი“ და ორი დიდი კრეისერი (ალბად „ოლეგი“ და ,,ავრორა‘‘ იქნებიან, თითო 6,700 ტონ.) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ, იაპონიის ქალაქ სამადასკენ წავიდნენო. ამ გემებს ვლადივოსტოკში შესვლა არ შეუძლიანთ, რადგან იაპონიის გემები ვლადივოსტოკის ნავთსადგურის წინ დარაჯობენ, და მეტი გზა არ არის, ან უნდა იაპონელებს დანებდნენ, ანუ დაიღუპნენო (რ. ს.).

გადარჩენილ რუს მეზღვაურებს იაპონელი მეთევზეები ზღვაში იჭერენ და ტყვედ მიჰყავთ. ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიის სანაპირო ქალაქები ცუსიმას მახლობლად რუსებით გაივსოო. (პ. ს.)

შარშან ვლადივოსტოკის ესკადრამ იაპონიის გემს ,,სოდომარუს‘‘ ნაღმი მოარტყა და კინაღამ ჩასძირა. ეს გემი მერე ისე შეუკეთებიათ, რომ ცუსიმას ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიიღოს. (პ. ს.)

ტოკიოდან იუწყებიან, რუსეთის დაღუპულ გემთა საერთო წყალწყვა 153,411 ტონნას შეადგენსო. (ს.)

ჰონკონგიდან იუწყებიან, საიგონში რუსეთის 56 სატრანსპორტო გემი სდგასო (პ. ს.)

ტოკიოდან მოსულ დეპეშიდან სჩანს, რომ ბრძოლის დროს არც ერთი იაპონური გემი არ ჩაძირულა. მსუბუქად დაჭრილა ადმირალი მიზუ. (რ. ს.)

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის ბედი. ეს არის სია როჟესტვენსკის გემებისა, რომლიდანაც სჩანს, თუ რომელ გემს რა ბედი ეწია:

ადმირალ როჟესტვენსკისა და ნებოგატოვის ესკადრები:

გემების სახელი:	აშენებულია.	წყალწყვა.	ზარბაზნების რიცხვი.	რა დაემართა.
ჯავშნოსნები:				
„სუვოროვ“	1902 წ.	13,516 ტონნა.	40	დაიღუპა.
„ალექსანდრ III“	1901 წ.	13,516 „	40	დაიღუპა.
„ბოროდინო“	1901 წ.	13,516 „	40	დაიღუპა.
„ორიოლ“	1902 წ.	13,516 „	40	დაატყვევეს.
„ოსლიაბია“	1898 წ.	12,674 „	40	დაიღუპა.
„სისოი ველიკი“	1894 წ.	10,400 „	16	დაიღუპა.
„ნავარინ“	1891 წ.	10,206 „	18	დაიღუპა.
„ნიკოლაი I“	1889 წ.	9,672 „	20	დაატყვევეს.
„სინიავინ“	1894 წ.	4,960 „	12	დაატყვევეს.
„უშაკოვ“	1893 წ.	4,126 „	12	დაიღუპა.
„აპრაკსინ“	1896 წ.	4,126 „	11	დაატყვევეს.
11 ჯავშნოსნიდან —		120,228 „	289	7 დაიღუპა, 4 დაატყვევეს.
კრეისერები:				
„ნახიმოვ“	1885 წ.	8,524 „	24	დაიღუპა.
„ოლეგ“	1903 წ.	6,645 „	30	არ იციან, რა მოუვიდა.
„ავრორა“	1900 წ.	6,731 „	35	არ იციან, რა მოუვიდა.
„დიმიტ. დონსკოი“	1883 წ.	6,200 „	21	დაიღუპა.
„ვლ. მონომახ“	1882 წ.	5,754 „	14	დაიღუპა.
„სვეტლანა“	1896 წ.	3,727 „	12	არ იციან რა მოუვიდა.
„ჟემჩუგ“	1903 წ.	3,103 „	6	დაიღუპა.
„იზუმრუდ“	1903 წ.	3,103 „	6	არ იციან, რა მოუვიდა.
„ალმაზ“	1903 წ.	3,285 „	4	ვლადივოსტ. მივიდა დაზიანებული.
9 კრეისერიდან —		38,548 ტონნა.	128	4 დაიღუპა, 4-ს არ იციან, რა მოუვიდა და 1 ვლადივოსტ. მივიდა.
სულ 20 დიდ გემიდან —		158,774 ტონნა.	417	11 დაიღუპა, 4 დაატყვევეს, 4-ს —არ იციან, რა მოუვიდა, და 1 ვლადივოსტოკს მივიდა.

ამ ოც დიდ გემიდან, რომლის საერთო წყალწყვა 158,774 ტონნას შეადგენდა, დაიღუპა 11 გემი, რომლის წყალ-წყვა შეადგენდა 101,355 და დატყვევებულ იქმნა 4 გემი საერთო წყალწყვით 32,274. საერთოდ სამუდამოდ დაიღუპა 20 გემიდან 15 გემი საერთო წყალ-წყვით 133,629 ტონ. (101,355+32,274 ტონნა), გადარჩა 1 გემი (3,285 ტონ.), არ იციან ბედი 4 გემისა (20,206 ტონ.). პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ დაიღუპა (ჩაიძირა და დატყვევებულ იქმნა) 84,5% მთელის ესკადრისა, გადარჩა 2%, დანარჩენის (13,5%) ბედი ჯერ-ჯერობით არ იციან.

გარდა ზემოხსენებულ 20 გემისა, ად. როჟესტვენსკის ჰყავდა 5 მაშველი კრეისერი: „ურალ“, ,,ტერეკ‘‘, ,,დნეპრ‘‘, ,,რიონ‘‘ და ,,კუბან‘‘ (,,ურალი‘‘ დაიღუპა, დანარჩენების ბედ-იღბალი არ იციან); ჰყავდა აგრეთვე 12 მდე ნაღმოსანი (მათ შორის 3 დაიღუპა, 3 დაატყვევეს, 1 ვლადივოსტოკში მივიდა, 5-ის ბედი არ იციან) 70-მდე სატრანსპორტო გემი (15—20 საკუთარია, დანარჩენი დაქირავებულია); ტრანსპორტებიდან დაიღუპა ,,კამჩატკა‘‘და ,,ირტიში‘‘; ,,კორეია‘‘ დაზიანებულია და შანჰაიში იმყოფება,იქვეა ,,სვირი‘‘, და ,,სმოლენსკი‘‘. იქვე იმყოფება 6 ტრანსპორტი. გარდა ამისა, მრავალი ტრანსპორტი იმყოფებოდა სადლის კუნძულებთან. როჟესტვენსკის დამარცხების შემდეგ იაპონელებმა ეს გემები აღმოაჩინეს და გაჰფანტეს. რამდენიმე ტრანსპორტი სოიას კანდელთანაც იდგა; იაპონელებმა ესენიც გაჰფანტეს. დანარჩენი ტრანსპორტები დაფანტულია: ზოგი საიგონშია, ზოგი შანჰაიში და სხ.

ასე გათავდა იმ უზარმაზარ ფლოტის ბედი, რომელიც რუსეთის უკანასკნელი იმედი იყო (რ.)

ჰუნგრელთა დეპუტაცია. ჰუნგრელებს ერთმანეთში ფული მოუკრებიათ და ძვირფასი ხმალი უყიდნიათ, რომელიც მარშალ ოიამას უნდა გაუგზავნონ. ხმალი და ადრესი მიაქვთ 100 ჰუნგრელს გრაფ ზიჩის მეთაურობით (ნ. ჟ.).

იაპონელ გენერლის აზრი მუკდენის ბრძოლის შესახებ. იაპონიის ჯარის ინსტრუქტორად ნამყოფს გენერალ ბალეტს მარშალ ოიამას შტაბში მოსამსახურე გენერალთან უსაუბრია მუკდენის ბრძოლის შესახებ. იაპონელ გენერალს უთქვამს: „სანდეპუს ბრძოლის შემდეგ რუსეთის სარდალმა, როგორც სჩანდა, არაფერიც არ იცოდა ჩვენი მოძრაობისა და განზრახვის შესახებ. თებერვლის დამდეგს ჩვენ დაუმალავად გავუგზავნეთ საკმაო დიდი ჯარი გენერალ კუროკის. ამით, ჯერ ერთი, რუსების მოტყუება გვინდოდა და, მეორეც კუროკის ჯარის გაძლიერება. უმთავრე-

ფელეტონი

სოციალ-დემოკრატია გერმანიაში

ერთ გერმანულ ჟურნალში, „Archiv für socialwissenschaft“, დაბეჭდილია რ. ბლანკის წერილი გერმანელ სოციალ-დემოკრატების შესახებ.

ყოველ ახალ არჩევნის დროს უფრო აშკარა ხდება,—ამბობს წერილის ავტორი,—რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სულ გარეშე ელემენტები შედიან. გერმანიის ზოგიერთ ნაწილში (საქსონიასა, ჰამბურგს, ბერლინსა და ალტონაში) სოციალ-დემოკრატიულ მიმართულების ამომრჩევი, სოციალ-დემოკრატების ხმა იმ ადგილებში მცხოვრებ მუშებზე მეტია. ამიტომ ცხადია, რომ პარტიაში არა-მუშებიც შედიან მრავლად. ამ გარემოებას კი დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს პარტიის პოლიტიკასა და ტაქტიკაზე.

იქ, სადაც ხალხი კათოლიკე სარწმუნოებას ადგია, სოციალ-დემოკრატებს ხმების ერთი მეოთხედიც ვერ უშოვნიათ მაშინ, როდესაც პროტესტანტებით დასახლებულ ადგილებში ხალხის ერთი მესამედი ან ორი მესამედიც სოციალ-დემოკრატების კანდიდატს ემხრობა ხოლმე, თუმცა ორივე ადგილას მრეწველობა და მსხვილი წარმოება თანასწორად არის განვითარებული.

კათოლიკე საარჩევნო ოლქებში სოციალ-დემოკრატი ნაკლებია, ვიდრე მუშები (ბავარიაში, მაგ., სოციალ-დემოკრატები ამომრჩევლების 21,7 პროც., სამრეწველო მუშები კი 28 პროც.). პროტესტანტებით დასახლებულ საარჩევნო ოლქებში სოციალ-დემოკრატი თითქმის ყველგან მეტია, ვიდრე სამრეწველო მუშები.

ამიტომ ცხადია, რომ გერმანელი კათოლიკოკობა ან კლერიკალობა მეტ წინააღმდეგობას უწევს სოციალ-დემოკრატების გავრცელებას, ვიდრე მსხვილ მრეწველობის განუვითარებლობა ან ჩამორჩენა.

მაგრამ უფრო საინტერესოა ბლანკის ცნობები იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობას იღებს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ბურჟუაზია. ბლანკი ამტკიცებს, რომ უკანასკნელ არჩევნების დროს მთელ გერმანიაში კენჭის მქონე სხვადასხვა მუშა ყოფილა 3.448.223. საზოგადოდ მთელ გერმანიაში არჩევნების დროს გამოცხადდა ამომრჩევლების 76 პროც.; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მუშები ბურჟუაზიაზე უფრო მხურვალედ არ ეკიდებიან კენჭის ყრის საქმეს, გამოვა, რომ კენჭის ყრის დროს მუშების კენჭი ყოფილა სულ 2.620.649. მაგრამ აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ზოგიერთი მუშაც სოციალ-დემოკრატი არ არის (მაგ. კათოლიკე მუშათა პარტია, ჰირშდუნკერის კავშირები, ევანგელისტთა კავშირები და სხვ.). თუ ვიანგარიშეთ, რომ მუშების $^{2}/_{3}$ ნაწილი სოციალ-დემოკრატებისკენ იყო სოციალ-დემოკრატიული ხმა უნდა ყოფილიყო 1.747.095. რაკი ყველა ეს ცნობა 1895 წელს მომხდარ აღწერაზეა დამყარებული, ამიტომ უნდა ვიანგარიშოთ, რომ მას შემდეგ ხალხმა იმატა და 1903 წ. უნდა ვიანგარიშოთ სოციალ-დემოკრატების ხმა 2,446,000. არჩევნებზე კი სოციალ-დემოკრატებს მოუვიდათ 3,010,771, ე. ი. 564 ათას ხმით იმაზე მეტი, რაც საერთოდ იყო სოციალ-დემოკრატი გერმანიაში,—ეს 564 ათასი ხმა უთუოდ ბურჟუაზიას ეკუთვნის.

მეორე მხრივ, თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ 1903 წელსაც შედარებით იმდენივე ბურჟუაზია იყო, როგორც 1893 და 1898 წელს იყო, ე. ი. ერთი მეოთხედი, მაშინ 1903 წელს სოციალ-დემოკრატებში უნდა მივიღოთ 750,000 ბურჟუა.

ბლანკის გამოანგარიშებით, სოციალ-დემოკრატიას თანდათან უერთდება გერმანიაში თავისუფალ-მოაზრეთა პარტია. ყველა ეს ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, პატარა მოსამსახურეები, ნოქრები და განსაკუთრებით წვრილი მრეწველებიც, რომელნიც სრულებით არ არიან პროლეტარები, უერთდებიან პარტიას არა იმიტომ, რომ მათ მოსწონდეთ სოციალ-დემოკრატიის დევიზი: „ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით“, ან კომუნისტური მანიფესტი, ან მისი კლასობრივი ხასიათი, არამედ მათ ყველას აერთებს საკუთარი ინტერესი, საკუთარი უახლოვესი მიზნები.

ადვილი გასაგებია ისიც, რომ ყველა ეს ელემენტი ცდილობს მარჯვენისაკენ წასწიოს პარტია, რევოლუციას მოაშოროს და რეფორმების გზაზე დააყენოს იგი.

მართალია, ამათ გვერდში უყენია სოციალ-დემოკრატთა პარტიის მეორე ნაწილი, რომელსაც უფრო სარევოლუციო ხასიათი აქვს, რომელიც ებრძვის არსებულ წყობილებას, იბრძვის კლასსობრივ ნიადაგზე,—მაგრამ რამდენად ძლიერია პარტიის ასეთი ელემენტები?

სამეცნიერო სოციალიზმის თეორიით, სარევოლუციო კლასსობრივ ბრძოლის წარმომადგენელია უმთავრესად მსხვილ მრეწველობაში გართული პროლეტარიატი. გერმანიაში სოციალ-დემოკრატიის უმეტეს ნაწილს შეადგენს წვრილ მრეწველობაში გართული მუშები. მსხვილ მრეწველობაში მომუშავე პროლეტარიატი პარტიაში სულ რამდენიმე ასი ათასია, იმდენივე, რამდენიც ბურჟუა. მართალია, წვრილ მრეწველობის მუშები მსხვილ მრეწველობის მუშებს შეუერთდებიან ადვილად, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ დიდ ქალაქებში, სადაც უფრო სცემს საპატიო სიცოცხლის მაჯა, პარტიაში ბევრია ბურჟუა.

ბლანკის გამოანგარიშებით, უკანასკნელ არჩევნების დროს ქალაქ ადგილებში სოციალ-დემოკრატიულ ხმებში ერთი მესამედი მაინც ეკუთვნოდა ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, ზოგან კიდევ სოციალდემოკრატიის არჩევნებში ნახევარი ხმები ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან იყო მიცემული.

სოციალდემოკრატიული პარტია განსაკუთრებით ქალაქ ადგილებში ძლიერდება და ამიტომ იძულებულია ქალაქებში მთელი ქალაქის ინტერესები დაიცვას ხოლმე და ამის გამო ამ პარტიის კლასსობრივი ხასიათი თანდათან სუსტდება, ჰქრება.

დღემდის ბურჟუაზიული პარტიები განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებლებზე იყვნენ დამყარებულნი და კათოლიკებზედაც ქალაქებში და სოფლად. გაბატონებულ პარტიების ძლიერება იმალება გლეხობასა და კლერიკალიზმში და დღემდის ეს ორი ელემენტი იყო ბურჟუაზიის ერთგული, მაგრამ დღეს სოციალ-დემოკრატიამ ორივეზე იერიში მიიტანა და თანდათან მათშიაც ვრცელდება სოციალ-დემოკრატიული მიმართულება.

სოციალ-დემოკრატების მეთაურები, დიდი ხანია, გრძნობდნენ, რომ მათთვის აუცილებელია სოფლელების მომხრობა. ბრესლავლის პარტეიტაგზე 1895 წ. ბებელი ამბობდა: „ვინც მიწას მფლობელობს, ის მფლობელობს საზოგადოებასაც“. ლიბკნეხტი კი ერთ თავის წიგნაკში აცხადებს: „სოფლის მუშების და გლეხების დაუხმარებლად ბრძოლაში გამარჯვება არ შეგვიძლიან, მათის დახმარებით კი გავიმარჯვებთ უთუოდ“.

თუმცა სოციალ-დემოკრატიას განსაკუთრებული აგრარული პროგრამა არა აქვს, მაგრამ სოციალ-დემოკრატების აგიტაციამ სოფლად ნიადაგი მოიპოვა და უკანასკნელ არჩევნების დროს სოფლებში სოციალ-დემოკრატების სასარგებლოდ მოგროვდა 735,093 ხმა, ან იქაურ ამომრჩეველთა 17—1%; სოციალ-დემოკრატიას იქ ხმების რაოდენობით მეორე ადგილი უჭირავს.

მართალია, ამ ხმების ერთი ნაწილი სამრეწველო მუშებს ეკუთვნის, ვინაიდან სოფლებში მცხოვრებთა მხოლოდ 62,94% ადგია სოფლის მეურნეობას, მაგრამ ხმების ერთი ნაწილი მაინც გლეხობას ეკუთვნის უთუოდ.

თვით კათოლიკებშიაც თანდათან იკიდებს ფეხს სოციალ-დემოკრატიული მიმართულება (კრეფელდში, მაგ., სადაც 81% კათოლიკეა, სოციალ-დემოკრატებმა ხმების 29,6% მიიღეს, კელნში 34,6%, დიუსელდორფში 40% და სხვ.

საზოგადოდ, ბლანკის სიტყვით, სოციალდემოკრატიული პარტია ამჟამად კლასსობრივი პარტია არ არის და მას არ შეუძლიან კლასსობრივ ხასიათის შერჩენა. როგორც ყოველი სხვა პარტია, სოციალ-დემოკრატიაც აფასებს იმას, თუ ჰყავს სადმე თავისიანი ამორჩეული წარმომადგენლად, იქაც კი, სადაც სოციალდემოკრატია არ შეადგენს ხალხის უმეტესობას. ამიტომ ამნაირ ადგილებში სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიის სხვადასხვა პარტიას უამხანაგდება და ამ დაამხანაგებაში ზოგიერთ რამესაც უთმობს თავის მოკავშირე პარტიას.

ეს დათმობა ხშირად პროგრამის პრინციპიალურ კითხვებსაც ეხება. 1872 წ. სოციალისტ მუშათა შემუშავებულ პროგრამაში გარკვევით იყო გამოცხადებული, რომ მუშათა პარტიასთან შედარებით ყველა დანარჩენი პარტია რეაქციონერთა პარტიებია. 1891 წელს კი ეს წინადადება ახალ პროგრამის შედგენის დროს გამოაკლეს და მუშების წარმომადგენელმა ვილჰელმა ლიბკნეხტმა გამოაცხადა,—ტყუილი არისო, ვითომც ყველა დანარჩენი პარტია—რეაქციონერთა ბრბო იყოსო.

1890 წელს სოციალ-დემოკრატიის ხმებმა ერთი ორად იმატა. ბურჟუაზიული დემოკრატია აშკარად მიემხრო სოციალისტებს, რის გამოც პარტიამ უკუ აგდო თავისი უწინდელი სახელი „მუშათა სოციალისტური პარტია“, რომელიც მას კლასობრივ პარტიის ბეჭედს აკრავდა და მიიღო ახალი სახელი: სოციალ-დემოკრატია. ეს სახელი პირველად შემოვიდა ხმარებაში 1843 წ., როდესაც საფრანგეთში წვრილი ბურჟუაზია მუშების ორგანიზაციას შეუერთდა. ამ შეერთების შესახებ მარქსი სწერდა: „სოციალური და დემოკრატიული პარტიები, მუშათა წვრილ ბურჟუაზიის პარტიები სოციალ-დემოკრატიულ, ე. ი. წითელ პარტიად შეერთდნენ“.

ბლანკი, ამას გარდა, ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები რეიხსტაგში ცდილობენ თანდათან შეერთებულ ოპოზიციის სათავეში დადგნენ, რაიც ეწინააღმდეგება სამეცნიერო სოციალიზმის პრინციპებს. ამნაირად თეორია ეწინააღმდეგება პრაქტიკას და ის არის იმ კრიზისის მიზეზი, რომელიც ამჟამად სოციალ-დემოკრატიას ეტყობა გერმანიაში.

ერფურტის პარტეიტაგზე ლიბკნეხტმა განაცხადა: „თეორია და პრაქტიკა ორი განსხვავებული რამეა, ძალიანაც რომ ვენდობოდე მარქსის თეორიას, ცხოვრებაში მაინც ჩემს გზას ვადგივარ ყოველთვის. დიდია ჩემთვის მარქსის მნიშვნელობა, მაგრამ პარტიის მნიშვნელობა კიდევ უდიდესია!“.

თვით კაუცკიმ 1903 წლის გამარჯვების შემდეგ პარტიისთვის მეტად პრაქტიკული და პოლიტიკურად მეტად ზომიერი პროგრამა შეიმუშავა: „საარჩევნო უფლების ნიადაგზე პარტიის საგერი პოზიცია უნდა დაიკავოსო; მხოლოდ სატევი მიმართულება უნდა მიიღოს იმნაირ კითხვებში, როგორიც არის სამუშაო დღე, შეკავში-

სად კი გენ. ნოგის ჯარის დამალვა გვინდოდა და მივაღწიეთ კიდევაც საწადელს.

კუროპატკინი თავის მზვერავთა მოხსენებით მოტყუვდა, კუროკის წინაალმდეგ დიდ ჯარს მოუყარა თავი, და რეზერვებიც იქით გადაიყვანა. გარდა ამისა, კუროპატკინი დარწმუნებული იყო, რომ იაპონელი სალდათი მთაში უფრო კარგად იბრძვის, ვიდრე ბარში და დასავლეთით იაპონელების მოსაგერებლად მიშჩენკოს ცხენოსნები და კაულბარსის არმია საკმარისად მიაჩნდა. არც ის იცოდა, თუ სად იყო ნოგი და რას აპირობდა. ნოგი კი ამ დროს ნოძუსა და ოკუს ჯარების შუა იდგა. ჩვენს მოძრაობას სინმინტინისკენ კუროპატკინისთვის თვალი უნდა აეხილა, მაგრამ კუროპატკინმა ვერც აქ გაიგო რამე. მერე კი, როცა იაპონიის მთელი ჯარი რუსებს მოესია, გენ. ნოგი ელვასავით გაქანდა დასავლეთისკენ, გვერდიდან მოუარა და რამდენისამე დღის შემდეგ მუკდენთან აიჭრა.

ჩვენის აზრით, ნოგი რომ არ მოგვშველებოდა, მუკდენს მაინც აეიღებდით, მაგრამ რუსებს ასე საშინლად და უმაგალითოდ ვეღარ დავამარცხებდით. პირადად ჩემის აზრით, სტესელს კიდევ უნდა გაეძლო და შეეძლო კიდევაც გაძლება. რაც შეეხება კუროპატკინს, მგონი დროა გაიგოს ჩვენი ტაქტიკა და ხერხი (რ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 19 მაისი. ლეჩხუმელებმა განთავისუფლეს დადეშქელიანი და ახვლედიანი, რომლებიც ქუთაისში ჩამოვიდნენ, რომ გუბერნატორს გამოეცხადონ.—საპატიმროდან რამდენიმე პატიმარი გაიპარა.—მეტად ადიდებულმა რიონმა მრავალი სოფელი დააზიანა, ქვემო-იმერეთში დათესილი ხნულები წალეკა.

ახალი ამბავი

კავკასიის ნამესტნიკს უკვე დაურთავს ნება ი. კ. ზუბალაშვილისთვის გამოსცეს ტფილისში **ყოველდღიური რუსული გაზეთი «ზაკავკაზიე».**

✦ დაბა ცხინვალიდან შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გვატყობინებენ ბოქაულ ამათუნის დაჭრის შესახებ. 17 მაისს შუადღისას, როდესაც ცხინვალის **ბოქაული — ამათუნი თავის ექვსი წლის ბავშვით მისეირნობდა სახლისკენ, ვიღამაც თოფი ესროლა.** ტყვია ერთ ფერდში მოხვდა, მეორეში გავარდა. ბოქაულმა მრისხანედ დაიღრიალა—მიშველეთო. ის ჯერ არ იყო წაქცეული, როდესაც მეორე ტყვია მუხლში მოხვდა, მაშინ ძირს დაეცა, ხალხს შეეშინდა და გაიფანტა. მსროლელი მიიმალა, ვერავინ დაინახა, საიდან ან ვინ ისროლა. იმ დღეს ათამდის კაცი დაიჭირეს, მაგრამ ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, ყველანი ისევ გაანთავისუფლეს. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს დამნაშავეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ,—კვალი ვერ აუღიათ. ბოქაული საშიშ მდგომარეობაშია. ექიმებმა შველა ამოუჩინეს.

✦ როგორც „ნოვ. ობ.“-ს ნუხიდან დეპეშით ატყობინებენ, ოთხშაბათს, 18 მაისს, დილის 10 საათზე **ქუჩაში მოუკლავთ ოთხი ტყვიით ნუხის მაზრის უფროსის თანაშემწე აბრამოვიჩი.** მკვლელი დაუჭერიათ.

✦ როგორც მკითხველებმა იციან ამას წინად სოფ. ხოვლეში (ქართლი) **გლეხებმა თავად-აზნაურთა ტყეები აჩეხეს.** ეხლა ადმინისტრაცია ტყის გაჩეხის გამო გლეხებისთვის ფული შეუწერია. ეს ამბავი ეხლახან გამოუცხადებია მაზრის უფროსს, ფული შეეწერა ხოვლეს, მეტეხს, სასირეთს, დოესს და ხანდაკს. როგორც ამბობენ, ამ სოფლის გლეხებმა ოთხასი თუმანი უნდა გადაიხადონ (ც. ფ.).

✦ ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ: ამას წინად სოფ. გომარეთის მცხოვრებლებმა ერთად თავი მოიყარეს და ადგილობრივ ერბო-ყველის მკეთებელ **ქარხანაზე იერიში მიიტანეს,** მაგრამ კაზაკებმა ხალხი შეაჩერეს. მიზეზად ასახელებენ ერბო-ყველის ქარხნის-მიერ საძოვარ მინდვრების მითვისებას.

✦ სოფ. ყალამშიიდან იტყობინებიან: წარსულ კვირეებში აქ ამოვიდნენ **მაზრის უფროსის თანაშემწე, ბოქაული და კაზაკების უფროსი, ათი კაზაკით,** რომელთაც ადგილობრივ სკოლის მასწავლებლის სახლს ალყა შემოარტყეს; სურდათ მასწავლებლის შეპყრობა, მაგრამ მასწავლებელი შინ არ დახვდათ. აგრეთვე აპირებდნენ აქაური გლეხების ასის-თავის დაჭერას, მაგრამ ვერ მოახერხეს.

✦ **ბაქოს ქალაქის მოურავის მოადგილეს გენერალ-გუბერნატორისგან შემდეგი ქაღალდი მიუღია:** რადგანაც მაყურებელი ხალხი და ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი საბჭოს სხდომებზე უწესოებას ახდენენ ხოლმე, ამიტომ წინადადებას გაძლევთ, როგორც ხალხს, ისე გამგეობის მოსამსახურეთ ნება არ მისცეთ საბჭოს სხდომებს დაესწრონო.

✦ ოთხშაბათს, 18 მაისს, **საბჭოს დარბაზში შესდგა კრება** თათრებისა და სომეხთა დასამშვიდებელ ზომების მისაღებად. კრებამ მეექვსე უბანში გავლენიან თათრებთანა და სომხებთან მოსალაპარაკებლად აირჩია სამი კაცი: თათართა ყაზი, ექიმი ვაჩაძე და მოქალაქეთა მამასახლისი დანდუროვი.

✦ 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე 9 და მე-10 პოლიციის ნაწილების მცხოვრებლებმა, ვაინერის თაოსნობით, მიმართეს ქალაქის მოურავს და სთხოვეს, მიეცით ნება ჩვენ-მიერ არჩეულს კაცებს, საბჭოს დარბაზში **შეიკრიბნენ სადგომებზე ფასების დაკლების შესახებ მოსალაპარაკებლად,** რადგან აღარ ძალგვიძს სადგომების დღევანდელი ქირა ვიხადოთო (ნ. ო.).

✦ გუშინ, ხუთშაბათს, **საბებიო ინსტიტუტში** ხელმეორედ თავი მოიყარა ორასამდე ძიძამ. ძიძები **დაჟინებით თხოულობენ ჯამაგირის მომატებას და ექიმ ქანანოვის სამსახურიდან დათხოვნას.** ინსტიტუტში ამ დროს სხდომა ჰქონდა საგანგებო კომისიას, ექიმებისაგან შემდგარს, რომელთაც დავალებული აქვთ გამოძიება იმისი, თუ რამდენად სწორეა და მართალი „Нов. Обозр.“-ში დაბეჭდილი წერილები ქანანოვის შესახებ. კომისიაში მონაწილეობას იღებდა იმ წერილების ავტორი, ბ-ნი ა. კვერკველაძეც.

✦ სამაზრო პოლიციის სადგურ „ნავთლუღს ქვეით **უპოვია გვამი 18 წლის ყმაწვილ კაცისა** მოწაფის ტანისამოსში გამოწყობილი, რომელსაც ჯიბეში შემდეგი ბარათი აღმოაჩნდა: „სკოლამ დაამახინჯა მთელი ჩემი არსება. ამ ჩემ რწმენას ვამტკიცებ საკუთარის სისხლითაო’’.

✦ სოფელ როდიონოვკის დუხობორებმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, ამ სოფლის გარშემო მდებარე **სახელმწიფო მიწების ს.-ჯარო ვაჭრობა არ დაინიშნოს და სულ მთლად შეუვაჭრებლად მათ დაეთმოთ.**

✦ სადგურ აჯიკაბულიდან გვატყობინებენ: 18 მაისს, როდესაც **ჟანდარმი ნესტერენკო** სადგურიდან შინ ბრუნდებოდა, ერთ სახლიდან ვიღამაც დასჭრა. დამნაშავე ვერ იპოვეს.

✦ მიწათ-მოქმედებისა და **სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ტფილისის გუბერნატორს აცნობა:** სიღნაღის მაზრის სოფელ ჭოტორისა, ნუკრიანისა და ახლო-მახლო სოფლის გლეხები თხოულობენ 2320 დესეტინა სახელმწიფო მიწის იჯარით აღებას, თორმეტი წლის ვადით, წლიურად 700 მანათადაო, ამის გამო გთხოვთ გამოიკვლიოთ, რამდენად საჭიროებენ ეს გლეხები ამ მიწას. გარდა ამისა, გამოუცხადეთ გლეხებს, რომ გამგეობა თითო დესეტინას მანათ ნახევარ ნაკლებ ვერ დაუთმობსო.

✦ შაბათს, 21 მაისს, ტფილისის საკრებულოში რუსულ ოპერის მომღერალი **ე. მ. მიხაილოვი გამართავს კონცერტს.** მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ადამიანისა, კალიუენაია, მაისურაძისა; ბ-ნი ი. აბაშიძე, კაპანაკოვი, ფულინოვი და სხვა.

✦ ქალ. **ნაგოიადან** (იაპონიაში), **სადაც რუსის ტყვეები იმყოფებიან, „ტფ. ლ.“ შემდეგი წერილი მიუღია:** „ვუსურვებთ ყოველ სიკეთეს მშობლებს, ამხანაგებს და ნაცნობებს. კარგად ვართ, ვცხოვრობთ ნაგოიაში. გვარდიის პორუჩიკი ნიჩეილ აკიმოვი და პორუჩიკი პავლე იმნაძე“.

✦ ოთხშაბათს სოფელს **შულავერში** წავიდა ტფილისის ოლქის **სასამართლოს სესსია.** თავმჯდომარედ არის სასამართლოს წევრი დ. ე. ჩერნიკი. სასამართლოს წევრად ნ. ა. ტარსაიძე. სესსია დაიხურება 31 მაისს.

✦ სათანადო მთავრობის წინაშე გენერალმა **რეშეტინმა შუამდგომლობა აღძრა,** ნება მიეცეს ტფილისში დააარსოს პეტერბურგის საზოგადოების „ესპეროს“ განყოფილება. „ესპეროს“ მიზანია ერთი საზოგადო ენა შემოიღოს ვაჭრობასა და ლიტერატურაში სახმარებლად.

✦ როგორც სადგურ საჯავახოდან გვატყობინებენ, 18 მაისს, როდესაც საქონლის მატარებელმა № 21 გაიარა, კონდუქტორ ვასილ ვლადიმირსკის ვიღაც უცნობმა პირმა ცული დაარტყა და მძიმეთ დასჭრა.

✦ იორის ხეობიდან გვაუწყებენ: გასულს ორშაბათს სოფ. ხამმიდან სოფ. მუღანლოში სამუშაოდ წავიდა ოთხი იმერელი. იმერლებს მდ. იორში უნდა გაევლოთ, მგზავრები ისე შექეიფებულნი იყვნენ, რომ ისედაც მოდიდებულ მდინარეში წაიქცნენ და ერთი მათგანი—დურგალი გიორგი ომიაძე მდინარემ დაახრჩო.

ოფიციალური ცნობა

ერევნის მაზრებისა და ნახიჩევნის მდგომარეობის შესახებ მიღებულია შემდეგი ცნობები: 16 მაისის დღეს და 17 მაისის დღე და ღამე ქალაქ ნახიჩევანში, ახლო-მახლო სოფლებში და ჯულფის რკინის გზაზე, შედარებით, მშვიდობიანად ჩაიარა. 16 მაისს, ეკლესიაში და მეჩეთში ლოცვის შემდეგ, ხალხმა ეპარქიის უფროსის და შეიხ-ულ-ისლამის მეთაურობით დაიარეს ნახიჩევანი, რის შემდეგ სამღვდელოების უფროსნი ერთს მხარეს წავიდნენ—მღვდლები და მოლები კი მეორე მხარეს. ნახიჩევნის მაზრის უფროსმა საშუალებანი მიიღო და ზოგიერთ სოფლებს ძარცვა-გლეჯა ააცდინა, ამას წინად მოსული ხმები, ვითომ საზღვარზე სპარსელი ქურთები გადმოსულიყვნენ არ გამართლდა. და, როგორც აღმოჩნდა, სძარცვავდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. 17 მაისს აღმოჩნდა, რომ ორს სოფელში გაუქურდავთ ეკლესიები და დაიწყო ხოცვა-ჟლეტა ორდუბათის ნაწილში, იქ გაიგზავნა ორდუბათის ჯარის რაზმის ერთი ნაწილი.

რადგანაც ერევნის გუბერნიაში ჯარები ცოტა არის, ამიტომ არეულობის ჩასაქრობად გაიგზავნა რიონის რაზმის უფროსი, გენერალ-მაიორი ალიხანოვი, რომელსაც სამეოფო ჯარი მისცეს. გარდა ამისა, თუმცა ჯულფის რკინის გზა ჯერ მზად არაა, მაინც განკარგულება მოახდინეს, რომ ამ გზაზე გადიტანონ საჭირო საქონელი და გადიყვანონ სამხედრო ჯარის კაცნი („კავკაზი“).

ქუთაისის ცხოვრება

კვირას, 22 მაისს, დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ცეცხლისაგან საურთიერთო დაზღვევ საზოგადოების წევრთა კრება, ნაცვლად იმისა, რომელიც საზოგადო გაფიცვის გამო 1 მაისს არ შესდგა. კრება უსათუოდ შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ამ კრებაზე, სხვათა შორის, აარჩევია გამგეობის ერთი წევრი ნაცვლად ი. გ. ჩიმაკაძისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა. ხსენებულ ადგილის მსურველი ძლიერ ბევრი აღმოჩნდა, უმეტესად ისეთები, რომელნიც სხვა დაწესებულებებშიაც მსახურებენ და ეს არც გასაკვირველია: გამგეობაში მხოლოდ ერთი წევრი მუშაობს; დანარჩენი ორი წევრი კი მხოლოდ სიმების შესავსებად არის არჩეული. მთელი მათი მოღვაწეობა იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოების წლიურ ანგარიშს ხელი მოაწერონ და საზოგადო კრებებზედაც დეკორაციად ისხდნენ მაგიდასთან. აი, ამ შრომისათვის იღებს გამგეობის წევრი წლიურად ხუთას მანათს. რაუშავს, კარგი პენსიაა! ძველებს—ორი-სამი ადგილი, ჯამაგირი, პენსია, მასთან უსაქმურობა, ახლებს კი—არც ერთი, არც მეორე, არც მესამე და... ჰო, მართლა, ე. ი. უსაქმურობა, ღვთის წინაშე, არც ახლებს აკლიათ. თუ არ დამიჯერებთ, ბულვარში გაბრძანდით, რა დროსაც გნებავთ, და იქ ნახავთ...

14 მაისს საპყრობილედან განთავისუფლეს 113 პოლიტიკური დამნაშავე.

ისარა.

პრესსა

გაზ. „ნაშა ჟიზნ“-ში დაბეჭდილია სარედაქციო წერილი, რომელიც კავკასიაში ნამესტნიკობის შემოღებას შეეხება. გაზეთი, სხვათა შორის, სწერს:

> ეხლახან (3 მაისს) გამოცხადებული უმაღლესი ბრძანება უმართებულესს სენატის მიმართ რამდენსამე მუხლს უმატებს იმ გაურკვეველს სხემას, რომელშიაც აპირებენ ჩააყენონ კავკასიის ცხოვრება.
>
> „უნდა განახლდეს ნამესტნიკის თანამდებობა მთელის უფლება მოსილობითო“,—26 თებერვლის ბრძანებაში ნათქვამი იყო. უმაღლესი ბრძანება ნამესტნიკს ანიჭებს ყველა უფლებას, რაც კი მინისტრებსა ჰქონდათ მოხელეთა დანიშვნისა, გადაყვან-გადმოყვანისა და სხვ. შესახებ.
>
> ერთის სიტყვით, ნამესტნიკი დიდის უფლებებით არის შემოსილი.
>
> მაგალითად, ვიტტემ გამოუცხადა მუსულმანების დესპანს, რომ ამიერიდან კავკასიის ბედი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ხელშიაო. კობეკომაც უთხრა მუსულმან ჟურნალისტებს, კერძოდ პრესსის საკითხის გადაწყვეტა კავკასიაში ნამესტნიკის სრულს უფლებაშიაო.
>
> მარტო ამ უფლება-მოსილობას რომ მივაქციოთ ყურადღება, იქნება ვინმემ იფიქროს: ძლივს დეცენტრალიზაცია მოხდაო.
>
> ნამესტნიკის უფლება-მოსილობა კავკასიისთვის საომარ ფარად შეიქმნება მინისტრთა ძალდატანების წინააღმდეგო.
>
> მაგრამ ნამდვილად კი თვითონ ფარის ქვეშ, ვინ იცის, რა მოხდება... ნამესტნიკობის შემოღების დროს პეტერბურგში ბევრნი იმ აზრისა იყვნენ, რომ ამის შემდეგ კავკასიის მართვა-გამგეობის პოლიტიკაში გულითადობას დიდი ადგილი ექნება დათმობილიო.
>
> გული და გულითადობა კარგი საქმეა, მაგრამ, რომ ეს საიმედო და მკვიდრი საძირკველი არ არის,—ცხადია.
>
> ძველი, გულუბრყვილო, იდილიური კავკასიის დაბრუნება ოცნებაა. წინანდელი არისტოკრატიული და მეომარი საქართველო დღეს გასაოცარ სახალხო მოძრაობის ასპარეზად გარდაიქცა. ამ ისტორიულ ქვეყანაში სოციალურ და პოლიტიკურის ცხოვრების ძირითადი ცვლილება, ევოლიუცია ხდება.
>
> დაქანებულ მდინარის შეყენება მოხელეთა მიერ გაჩიჩქნილ კალაპოტში ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია, ხოლო სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით კი—მეტად საფრთხილოც.

რუსეთი

ბერლინიდან „რუს. ვედ.“-ს ატყობინებენ: გაზეთ „კელნ. ცეიტ.“-ში დაბეჭდილია წერილი პეტერბურგელ კორესპონდენტისა შემდეგის სათაურით: **„ახალ რეაქციის ნიშნები“.** რეაქციის დაწყებას ამტკიცებს მინისტრის ერმოლოვის დათხოვნა; ეს იმ «რეაქციონერთა საქმეა, რომელნიც ხელმეორედ შეუდგნენ მუშაობას და 18 თებერვლის რესკრიპტის ინიციატორთა მოშორება უნდათ». რეაქციონერები ამტკიცებენ, რადგან მაისობამ მშვიდობიანად ჩაიარა, ამიტომ ცხადია, რომ საქმე არც ისე გამწვავებულია, როგორც ლიბერალები ამტკიცებენო. რეაქციონერებმა ბიუროკრატიას იმედი გაუღვიძეს და დაარწმუნეს, რომ სახიფათო არაფერია და შეგიძლიანთ რეფორმები გადასდოთო. ოფიციალური და თავდაჭერილი გაზეთი „კელ. ცეიტუნგი“ ამის გამო შენიშნავს, „დრამა ჯერ არ გათავებულაო“.

გერმანიის ლიბერალური პრესსა პირდაპირ აფრთხილებს რუსეთის რეაქციონერებს, ცეცხლს ნუ ეთამაშებით და ცოტა ისტორიაც გაიხსენეთო.

საზღვარ გარედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჟიტომირსა და მელიტოპოლში ებრაელების აკლებამ და პატარა დემონსტრაციებმა, რომლის შესახებ რუსეთის მთავრობა პირდაპირ აცხადებდა, ჟიტომირის აკლებაც ებრაელების ბრალია და დემონსტრაციებსაც სულ ებრაელები ახდენენო. „ფოსიშე ცეიტუნგ“-მა ამ ოფიციალურ განცხადებას „ოფიციალური პროვოკატორობა“ უწოდა (რ. ვ.).

✦ საზღვარ გარედ და პეტერბურგშიაც ხმა გავრცელდა, ამ ცოტა ხანში პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს **ტრეპოვს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნავენო** (რ. ვ.).

✦ ჟიტომირელ ებრაელთა აკლებასა და „პატრიოტულ“ **ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოველი „პატრიოტებიც“,** რომელნიც გრინგმუტის მონარქიულმა პარტიამ მოსკოვიდან განსაკუთრებით ამ საქმისთვის გამოგზავნა ჟიტომირში.

ეს, მართლაცა და, „პატრიოტები“ დადიოდნენ და პირდაპირ ყვიროდნენ: „ჩვენ სტუდენტებსა, მუშებსა, ინტელიგენციასა და ებრაელებს იმიტომა ვცემთ, რომ ისინი სოციალისტები არიან და მეფისა და ეკლესიის დამხობა უნდათო, ტყუილად კი არ გამოგვგზავნეს მოსკოვიდან“ (რ. ვ.).

✦ ამას წინად კიევო-პოლტავის რკინის გზაზე მუშები გაიფიცნენ. გზათა მინისტრმა ბრძანება გამოგზავნა, **გაფიცულ მუშებიდან 60 მეთაური ამოარჩიეთ და ომში გაგზავნეთო.** რკინის გზის მთავრობამაც 60 მუშა დაატუსაღა, პოლიციას გადასცა და დაავალა, ეს ხალხი ომში გაგზავნეთო (ნ. ჟ.).

✦ ცნობილი ვექილი ბერნშტამი სამართალში მისცეს. ბრალსა სდებენ, ისეთ წრეში ურევიხართ, რომელიც **არსებულ წესწყობილების დამხობას ცდილობსო** (ნ. ჟ.).

- . **სამართალში მისცეს ცნობილი ვექილი მანდილშტამი,** რომელსაც ის ბრალი ადევს,

---

რების უფლება, სამხედრო სამსახურის შემცირება, გადასახადების რეფორმა, სისხლის სამართლის კანონები, სადამოჟნო ბაჟები და სავაჭრო ხელშეკრულობა“.

ბლანკი გვიჩვენებს, რომ სოციალ-დემოკრატია არა მარტო პრაქტიკის პარტია არის, იგი ოპორტიუნისტობასაც ადგება და თანდათან სახალხო პარტიის ხასიათს იღებს.

1903 წლის საარჩევნო განცხადებაში, რომელზედაც მთელ საპარლამენტო ფრაქციის უწერია ხელი, ერთხელაც არ არის ნახსენები კლასობრივი ბრძოლა და საარჩევნო დევიზად არის გამოცხადებული: „ძირს ახლანდელი მილიტარიზმი და მარინიზმიო! ძირს დამღუპველი სადამოჟნო და სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც მილიონ ხალხის ძირითად ინტერესებს ეწინააღმდეგება? ძირს გადასახადების და სადამოჟნო პოლიტიკა, რომელიც მდიდრების სასარგებლოდ ღარიბებს ღუპავს! ძირს შინაური რეაქცია, მთავრობის თვითნებობა, საპოლიციო ძალმომრეობა და საყოველთაო უუფლებობა“. ამ განცხადების ბოლოში იწვევენ საბრძოლველად პროგრესისა, მეცნიერებისა და განათლებისთვის, ყოველი ძალმომრეობის მოსპობისათვის; აცხადებენ, რომ უნდა იბრძოლოს ყველამ კლასობრივ სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ, კლასობრივ კანონმდებლობის საწინააღმდეგოდაც.

ასეთს საარჩევნო პროგრამას მიემხრობა ადვილად ყველა: მუშაც, წვრილი ბურჟუაც, ხელოსანიც, ქალაქელი და სოფლელი, სოციალისტიც და რეფორმისტიც.

ამნაირად, სოციალ-დემოკრატია გერმანიაში უზარმაზარი შეერთებული პარტია არის, რომელშიაც თავს იყრის ყველა კლასის დემოკრატიული ელემენტი საერთო ბრძოლისთვის, საერთო მიზნების მისაღწევად, საერთო მტრების საწინააღმდეგოდ.

ბლანკის სიტყვით, გერმანელების სოციალ-დემოკრატია შეერთებული პარტია არის და არა კლასობრივი პარტია; იგი ცდილობს შეაერთოს გერმანიის ყველა საოპოზიციო ელემენტები.

ბლანკის აზრით.—სოციალ-დემოკრატია ამჟამად მუშათა პარტია აღარ არის, ვინაიდან ამ პარტიაში მილიონზე მეტია ბურჟუა და გლეხი.

მართალია, ბლანკის დასკვნა მხოლოდ გამოანგარიშებაზეა დამყარებული, ვინაიდან საიდუმლო კენჭის ყრის დროს ძნელია იმის თქმა, რომელი ამომრჩეველი რომელ კანდიდატს ემხრობა, მაგრამ ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატიას ამჟამად ძლიერი კრიზისი ეტყობა და რომ იგი ცდილობს საზოგადოდ შემოიერთოს ბურჟუაზიის მოწინავე და დემოკრატიული ელემენტები.

კრიზისს თავი რომ დავანებოთ, საინტერესოა იმ მიზეზის გაგება, რომელიც სოციალ-დემოკრატიასთან აერთებს ბურჟუაზიის ზოგიერთ ნაწილს, მართლაც, ვინც სოციალ-დემოკრატიის საბოლოო იდეალებს არ ეთანხმება.

ამის მიზეზი ის არის, რომ მუშათა პარტია საზოგადოდ ცდილობს ებრძოლოს მილიტარიზმსა და პროტექციონიზმს, მთავრობის თვითნებობას და ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებას, თუმცა ყველა ამას პირდაპირ კლასიური მნიშვნელობა არა აქვს. სოციალ-დემოკრატია ყოველთვის აცხადებს პროტესტს, როდესაც ხედავს რაიმე ძალმომრეობას.

სოციალდემოკრატიას მხოლოდ თავის პროგრამის ყველა ნაწილის შესრულებაზე რომ უფიქრნა და მხოლოდ კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე დამდგარიყო,—ცხადია, იგი ვერაოდეს ვერ გაძლიერდებოდა ისე, როგორც გაძლიერდა ამჟამად.

სოციალ-დემოკრატია გაძლიერდა, გაიზარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ებრძოდა ყოველსავე სიავეს და ძალმომრეობას, რომ მშრომელთა და დაჩაგრულთა ინტერესებს იცავდა, რომ იცავდა ადამიანის უფლებებს, თავისუფლებას და თანასწორობას...

სწორედ ამიტომ მას მიემხრო ბურჟუაზიული ელემენტები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან გაბატონებულ რეაქციას და ძალმომრეობას (ნ. ჟ.).

ლ. ნ.

პირდაპირი და ორკეცი არჩევანი

ამბობენ, რუსეთში პირველხანს მაინც ორკეცი არჩევანი საჭიროაო და ვითომც საბუთებიც მოჰყავთ. მათის აზრით, დიდ ქალაქებში პირდაპირი არჩევანი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოდ ქალაქელები პოლიტიკურად სოფლებზე უფრო მომზადებულნი არიან. კარგი, მაგრამ მაზრაც არის და მაზრაც. ზოგი მაზრა მჭიდროდ არის დასახლებული, ზოგი ხალვათად, ზოგან ხალხი საკმაოდ განვითარებული და მომზადებულია, ზოგან კი-არა. ზოგან მრეწველობა განვითარებულია და ხალხიც შეგნებულია, ზოგან კი მარტო გლეხობა ცხოვრობს.

ჩვენ არადროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეაქციონერები და კონსერვატორები იმიტომ კი არ არიან საყოველთაო არჩევანის მოწინააღმდეგენი, ვითომ ხალხის უმრავლესობა პოლიტიკურად მოუმზადებელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ იმათ უნდათ მართვა-გამგეობა მხოლოდ მათ ჰქონდეთ ხელში და უმრავლესობა ისე ათამაშონ, როგორც დღემდის ათამაშებდნენ. ეს ყოველთვის ასე იყო და ახლაც ასე იქნება.

ხალხი პოლიტიკურად მაშინ ვითარდება და იზრდება, როცა იგი პირდაპირ იღებს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში. რაც უფრო მალე მივაღებინებთ ხალხს მონაწილეობას ამ საქმეებში, მით უფრო მალე აღიზრდება იგი პოლიტიკურად.

ამბობენ, პირველ ხანებში მაინც უნდა შემოვიღოთ ორკეცი არჩევანიო. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რას ნიშნავს ეს „პირველ ხანებში“. რამდენ წელიწადს გასტანს ეს „პირველი ხანი“?

ძალიან გულუბრყვილო და ოპტიმისტი უნდა იყოს ადამიანი, რომ სწამდეს, ვითომ ერთხელ გაბატონებული კლასი, თვით უკიდურესი ლიბერალებიც კი, ხელათვე აიღებს ხელს თავის ახალ უფლებებზე და პირდაპირ არჩევნის შემოღებას მოითხოვს. ადამიანი ყოველგან ერთი და იგივეა. ყოველი კლასი, რომელმაც უკეთესი პოლიტიკური უფლებანი მოიპოვა, ძნელად თუ იტყვის უარს ამ უფლებებზე, იცავს ამ უფლებებს, იბრძვის მისთვის და ცდილობს შეურყეველ და ხელუხლებელ ჰყოს იგი.

პირდაპირი არჩევანი ორკეცზე უფრო დემოკრატიულია და სახალხო წარმომადგენლების პრინციპიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ წარმომადგენლობამ, რაც შეიძლება, სავსებით და ყოველ მხრივ გამოხატოს ხალხის აზრი, მისწრაფება და სურვილი. წარმომადგენლობა უნდა შესდგეს მხოლოდ ხალხის სურვილით. ორკეც არჩევანის დროს კი წარმომადგენლობა ხალხის, ამომრჩევლის, სურვილით კი არ ხდება, არამედ ხალხისაგან არჩეულთა სურვილითა და ნებით. მაშინ, როცა ამორჩეულთა და ამომრჩევთა მისწრაფება-სურვილები ერთმანეთს ეთანხმება, ე. ი. როცა ამომრჩევლები თავის ამორჩეულებს პირდაპირ ეუბნებიან, აი, ესა და ეს კაცი მინდა დეპუტატად, და პირდაპირ ასახელებენ ამ დეპუტატებს, მაშინ ორკეცი საარჩევნო წესი შეიძლება მავნებელი არ იყოს. მაგრამ ეს შეუძლებელია რუსეთში, სადაც 800 და 900 დეპუტატი იქნება. თუ მართლა ხალხმა ამ საქმის ასრულება კარგად მოახერხა, მაშ რაღა საჭიროა ამორჩეულთა-მიერ ხელმეორედ ამორჩევა?

პირდაპირ არჩევნების მოწინააღმდეგენი თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, ვითომ გლეხებში წერა-კითხვა ძალიან ნაკლებად იყოს გავრცელებული. მაგრამ ის კი აღარ ახსოვთ, რომ უკანასკნელ ხანებში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვმა ძალიან იმატა და იშვიათად თუ მოიპოვება ისეთი ოჯახი, სადაც ერთმა მაინც არ იცოდეს წერა-კითხვა. ესეც რომ არ იყოს, არჩევანს ყველა ამომრჩეველი არ დაესწრობა. ნახევარიც რომ დაესწროს, ისიც კარგია. არჩევანს კი უეჭველად მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე დაესწრება, რაიც იმის თავდები იქმნება, რომ არჩევანი შეგნებულად მოხდება.

საარჩევნო უბნები ახლად უნდა იყოს განაწილებული და მათი განაწილება არაგზით არ უნდა მიენდოს ადმინისტრაციას, რადგან იგი საქმეს ისე წაიყვანს, როგორც გაბატონებულ კლასებს სურთ.

საარჩევნო სიების შედგენა მთლად უნდა მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც საერობო გუბერნიებში არჩეულ იქმნებიან სამაზრო ერობის წარმომადგენელნი ოლქის სასამართლოს რომელისამე წევრის თავმჯდომარეობით. ამ კომისიას უნდა ექვემდებარებოდეს უბნების საარჩევნო კომისიები, რომელიც უნდა შესდგეს ერობის-მიერ ამორჩეულთაგან საერობო კრების რომელიმე ხმოსნის თავმჯდომარეობით. ამ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არის, უნდა შესდგეს ამისთანავე კომისია.

არჩევნების წინ გამართული საარჩევნო აგიტაცია საუკეთესო პოლიტიკური სკოლაა. ეს აგიტაცია კანდიდატებისა და მათი მომხრე პარტიებისაგან გაცილებით უფრო მეტს ინტერესს და მრავალ-მხრივ შრომას მოითხოვს. იმასაც ამბობენ, რუსეთში პარტიები არ არისო. მაგრამ ეს ცხადზე უცხადესი სიცრუეა, რომელიც არჩევნების დროს სავსებით და ნათლად დამტკიცდება. აი, როცა მთელ მაზრაში დაიწყება [illegible] და სოფლების კანცელარიებში, კრებებში და სკოლებში აგიტაციას გამართავენ, ყველაფერი მაშინ გამოჩნდება. [illegible]

ორკეცი არჩევანით შექმნილი საერო წარმომადგენლობა იმისი იმედი არ უნდა ჰქონდეს, ვითომ გლეხობა და მუშები მეტად დაიცავენ მას, რადგან წარმომადგენლობას და ამ კლასს მჭიდრო კავშირი არ ექნებათ; [illegible] პოლიტიკური უფლებები [illegible] დაცულნი.

მაგრამ ისიც არადროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკური რეფორმები [illegible] (ნ. ჟ.).

რომ მან იურიდიულ საზოგადოებაში მოხსენება წაიკითხა დიდ მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მკვლელის გასამართლების შესახებ. მანდელშტამი მკელელს, კოლიაევს იცავდა (რ.)

უცხოეთი

კრიტიში. კრიტელთა ამბოხება დღითი-დღე მწვავდება და განუწყვეტელი ბრძოლა აქვს ევროპის ჟანდარმერიასთან. თანდათან ირკვევა, რომ კრიტელებს საბერძნეთთან შეერთება მხოლოდ ხელზე დასახვევ საბაბად აქვთ, ნამდვილად კი აწ არსებულ აბსოლუტიურ წესწყობილების დამხობა და პარლამენტის დამყარება სურთ. პრინც გიორგისაც სწორედ ასეთის მოთხოვნილებით მიმართეს, მაგრამ პრინცის მოწოდება, რომელიც თითქმის საპასუხოდ გამოსცა, აშკარად მოწმობს, რომ იგი არ უერთდება კრიტელთა სურვილს და მხარის დაჭერას არ უპირებს ხალხის მოთხოვნილებას.

კრიტელთა მდგომარეობა არ მსუბუქდება. ტყუილად კი არ აცხადებდნენ კრიტელთა მოთავენი გულის წყრომას, რომ ამოდენა ხარჯებმა, ამოდენა მოხელეთა შენახვამ უძსკრულის პირას დააყენა ჩვენი ხალხი და 1897 წლიდან გაუმჯობესობის მაგიერ, უფრო გაღატაკდა და დაუძლურდაო. თავისუფლების მებრძოლთა მეთაურნი იმედოვნებენ, რომ ევროპის კონსტიტუციონური სახელმწიფოები ხელს არ შეუშლიან და არ ჩაერევიან კრიტელთა გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. ფერილში აჯანყებულთ ირჩიეს ეროვნული კრება, რომელმაც დროებით მართველობად გამოაცხადა თავისი თავი და პრეზიდენტიც აირჩია. პაპაიანოკისი (პრეზიდენტი) მადლობით იხსენებს სახელმწიფოთა წინანდელს მოქმედებას და ცივილიზაციის სახელითა სთხოვს, ხელი არ შეუწყოთ და ძალად არ მოგვახვიოთ თავზე ხალხის დამღუპველი აწ არსებული წეს-წყობილებაო.

ათინაში ბერძნები გულის ფანცქალით ადევნებენ თვალ-ყურს ამ მოძრაობას. მინისტრ-პრეზიდენტი დელიანისი რედაქტორებს შეევედრა: ძალიან ფრთხილად მოეკიდეთ ამ სათუთს საკითხსაო, თორემ ამბოხება საბაბს მისცემს ევროპის სახელმწიფოებს და თავიანთ საერთაშორისო ჯარს ჩვენს კუნძულზე სამუდამოდ დასტოვებენო.

მეორე მხრით პორტამ უკვე მიმართა სახელმწიფოებს, კრიტზე ჩემი გავლენა და უფლება (სუზერენიტეტი) აღმიდგინეთო. საფრანგეთის რაზმის უფროსმა კიდეც შეუთვალა მეამბოხეთ: თქვენთან თათბირის გამართვა მომანდვეს და ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ევროპის სახელმწიფონი არას გზით არ მოგვცემენ ნებას, რომ კრიტი საბერძნეთს შეუერთოთო. ამ განზრახვას თავი დაანებეთ და ჩვენ შემოვიღებთ ზოგიერთ რეფორმებსაო. კრიტელები თავისაზე მტკიცედ სდგანან. ვნახოთ, რითი დასრულდება მამაცი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის...

ჩინეთი. ამ მძინარა სახელმწიფომაც უკანასკნელ ხანში ნელ-ნელა თვალი გაახილა. წარსულმა მარცხმა და სირცხვილმა, რაც პატარა იაპონიამ აწვნევინა, ევროპის საერთაშორისო დარბევამ და ადგილების ჩამოკვეცამ ხომ მეტი სიფხიზლე შეიტანა ჩინელთა სქელის კედლებით შეზღუდულ ცხოვრებაში. დღევანდელი სოცარი და საგმირო საქმენი იაპონიელთა, თქმა არ უნდა თვალსაჩინოდ არწმუნებს ჩინეთსაც, რომ ეშმაკი ისეთი საშიში არა ყოფილა, როგორც გვეგონაო. ნელ-ნელა იბერტყავს ძილსა და შიშს, სცვლის არსებულის კარჩაკეტილობას, ევროპიულად აწესრიგებს იაპონელების ხელმძღვანელობით ჯარს, აარსებს ყველა დარგის სკოლებს და სხვა და, ასე გასინჯეთ, ამერიკელებსაც კი მეტოქობას უწევს ამ ბოლო დროს. ამერიკამ ხომ, დიდი ხანია, ჩინელ მუშებს (გული) დევნა დაუწყო ამერიკიდან და მათი გადასახლება ამერიკაში აკრძალა, მუშის ხელ-ფასს მეტად ამცირებენ და აფოლებენო. ჩინეთმა საპასუხოდ ბოიკოტი გამოუცხადა ამერიკულ საქონელს. შანჰაიდან, კანტონიდან და სხვა ქალაქებიდან იუწყებიან, რომ ამერიკის საქონელს ყველამ ბოიკოტი გამოუცხადაო. ამერიკა სახუმაროდ არ ჩააფიქრა ამ მოძრაობამ. ამერიკის ელჩი ამ მოძრაობას სულ იაპონელების გავლენას აბრალებს. იაპონელებს ძლიერი პარტიები ჰყავთ ჩინეთის უმთავრეს ქალაქებში და ისინი ასისინებენ ჩვენს წინააღმდეგაო.

კორესპონდენცია

ქ. ოზურგეთი, 17 მაისი. როგორც გწერდით („ივერია" № 73), აქაურმა ნოქარ-შეგირდებმა „ხაზეინებს" თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. 9 მაისს თვით-მმართველობის დარბაზში მოხდა კრება ყველა ვაჭართა და ხელოსანთა. განიხილეს ყველა მუხლები მოთხოვნილებისა, ზოგი მათგანი თვით კრებაზე იქმნა მიღებულ-დაკმაყოფილებული, ხოლო ზოგიერთა მუხლების განსახილველად აირჩიეს კომისია,—სამი კაცი ვაჭრებისა და სამი ნოქარ-შეგირდების მხრივ,—რომელმაც განიხილა ყველა მუხლები მოთხოვნილებისა და დაადგინა:

1) სამუშაო დღე განისაზღვრებოდეს თორმეტი საათით.

შენიშვნა: ზაფხულობით,—პირველ აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე—მაღაზიები გაიღოს დილის ექვსი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე. ზამთრობით,—პირველ ოქტომბრიდან პირველ აპრილამდე—დილის შვიდ საათიდან საღამოს 8 საათამდე.

2) ხელობები: ხარაზობისა და მკერვლობის შესასწავლი დრო უნდა განისაზღვრებოდეს ორ წელიწად-ნახევრით. თერძობა, მეუნაგრეობა, დურგლობა და მეჩექმობა—სამი წლით დალაქობა—ორი წლით, მეფურნეობა და სამიკიტნოში შეგირდობა—ერთის წლით. ამ ვადაში ადებმა შეგირდებს უნდა ასწავლონ თავიანთი ხელობები, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ყურადღებით და სინდისიერად.

3) იმ ხელოსნებმა და ვაჭრებმა, რომლებსაც დღემდის ჯგუთ აყვანილი შეგირდები, ხელწერილით თუ სიტყვიერად, ვალდებულნი არიან შეგირდობის ვადა, ახალის დადგენილების თანახმად, გაუნახევრონ.

4) შეგირდებს და ნოქრებს, რომლებიც „ხაზეინების" ხარჯზე არიან და აკლიათ ზომიერი სასმელ-საჭმელი, დღეიდან გაუუმჯობესონ. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მათ საცხოვრებელ ბინას, აირჩეს ორ-ორი წარმომადგენელი როგორც „ხაზეინებიდან", ისე ნოქარ-შეგირდების მხრიდანაც და ექიმის თანადასწრებით დათვალიერებულ-შემოწმებულ იქმნას ჰიგიენურის მხრით. ტანისამოსი შეგირდებსა და ნოქრებს, რომლებიც „ხაზეინების" ხარჯზე არიან, უნდა მიეცეს თავ-თავის დროზე; საზამთრო, საზაფხულო და სამუშაო ცალკე. თვეში თითო აბანო.

5) შეგირდი თუ ავად გახდა, „ხაზეინი" მოვალეა აღმოუჩინოს შემწეობა ქმობით, წამლობით და მოვლით, როგორც თავის საკუთარ ოჯახის წევრს. ერთის თვის განმავლობაში ადგილი არ უნდა დაეკარგოს. აგრეთვე ერთის თვის ავადმყოფობის დროს ადგილი შეენახოს ჯამაგირიან ნოქრებსაც.

6) შეგირდი უმიზეზოდ არ იქმნას დათხოვნილი „ხაზეინის მიერ აგრეთვე უდანაშაულოდ არ დაისაჯოს, რისთვისაც უნდა აირჩეს კომისია ორივე მხრივ მიზეზებისა და სიმართლის გამოსარკვევად.

7) „ხაზეინები" უნდა ეპყრობოდეს თავიანთ ნოქრებს და შეგირდებს ადამიანურად. და აგრეთვე ნოქრებიცა და შეგირდებიცა მოვალენი არიან იყვნენ უფროსების გამგონე, ზრდილობიანი და სინდისიერად ასრულონ თავიანთი მოვალეობა.

8) 13 წ. ნაკლები ხნის ყმაწვილი„ ხაზეინებს" ნება არ აქვს მიიღონ რომელსამე ხელობაში. ხოლო, თუ ვინმე ჰყავთ ათი წლისაზე ნაკლები ხნოვანებისა, მოვალეა განთავისუფლოს და ნამსახურობისთვის ჯილდო მისცეს, არა ნაკლებ ხუთი მანათისა.

9) კვირაობით მაღაზიები უნდა იკეტებოდეს მთელი დღით, რადგანაც ექვსი დღის შრომის შემდეგ აუცილებლად საჭიროა დასვენება და თავისუფლება. ხოლო ზაფხულობით, როცა აბრეშუმის პარკის ყიდვა გაყიდვა იქნება, მაშინ კი სამი კვირა დია უნდა იყოს მთელი დღე, როგორც საქმის დღეებში.

10) შეგირდებსა და ნოქრებს მიეცეს თავისუფალი დრო, წელიწადში ხუთმეტი დღე, ჯამაგირის გამოურიცხავათ.

11) ვისაც ას (100) მანათზე ნაკლები ეძლევა, იმას მიემატოს ოცი პროცენტი (20%), ხოლო ვისაც მეტი, იმას კი ხუთმეტი პროცენტი (15%).

12) ვადის შესრულების შემდეგ, თუ ნოქარს აზნაბილი აქვს სხვაგან უკეთესი ადგილი, ვალდებულია ერთი თვით ადრე გამოუცხადოს თავის „ხაზეინს", რომ ის მიდის და უფროსიც მოვალეა ნოქარი დააკმაყოფილოს, ხოლო თუ ვადის გათავების შემდეგ „ხაზეინი და ნოქარი ჯამაგირზე ვერ მორიგდებიან, მაშინ ხაზეინი ვალდებულია აძლიოს ერთ თვეს ჩვეულებრივი ქირა და ნოქარს დრო ეძლევა ახალი ადგილის საშოვნელად. ამასთან არც ერთ უფროს არ აქვს უფლება საყვედური გამოუცხადოს იმ პირს, რომელმაც მასთან ნამყოფი ნოქარი დაიქირავა მისდა დაუკითხავად, ამ შემთხვევაში სრული თავისუფლება უნდა იქმნას.

ამნაირად ნოქარ-შეგირდთა სამართლიანი მოთხოვნილებანი მცირეოდენის შეცვლით დაკმაყოფილებულ იქმნა.

ჭინკაი.

ლეჩხუმი. ახლანდელ მოძრაობაში სხვა კუთხეებს არც სვანეთ-ლეჩხუმი ჩამორჩა. ხალხმა ყველგან გაბედულად და მკაფიოდ წამოაყენა თავისი მოთხოვნილებანი... ამ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისთვის ხალხის ერთი გულ-შემატკივართაგანი თავ. შანშე გედოვანი, როგორც უკვე ყველამ იცის, კიდეც გამოასახლეს წუთისოფელს. მეორე მათგანი თ. ლ. დადეშქელიანი სამს ამ თვეს დაატუსადეს ლეჩხუმის მაზრაში საგანგებო მინდობილობით გამოგზავნილმა ქუთაისის მაზრის უფროსმა თ. ჯ. დ—ძემ. მასთან ერთად დაატუსადეს მღ. ახვლედიანი, რისთვის, არ ვიცით, თავად ლ. დადეშქელიანის დატუსადების ამბავი ელვასავით მოედო მთელ ლეჩხუმ-სვანეთს. მესამე დღეს ს. ახალშენს შეიკრიბნენ ს.ს. ორბელისა, ლაილაშისა და ჭყვიშის გლეხები; მცირე თათბირის შემდეგ აირჩიეს შვიდმდე გლეხი და სამიც თავადი და გაუგზავნეს ლეჩხუმის მაზრის უფროსს სთხოვეს, რომ დატუსადებული თავადი განეთავისუფლებინა. ხალხმა ამორჩეულთა პირით განუცხადა მაზრის უფროსს, რომ დღევანდელ მღელვარებაში ყველა იღებს მონაწილეობას და არა ერთი და ორი და ამისათვის კერძოდ არავინ არ უნდა დაისაჯოსო. მაზრის უფროსმა უპასუხა, დატუსადებულთა განთავისუფლებას ვეცდები, თუ ხსენებული საზოგადოებები პირობას დასდებენ, რომ მთავრობას ძველებურად ემსახურებიანო. ამ პასუხით წავიდნენ დეპუტატები ხალხთან. მეორე დღეს ისევ შეიკრიბნენ ლენტეხის, ლაშხეთის და ჩოლურის სვანები და დეპუტატების პირით იგივე მოსთხოვეს მაზრის უფროსს; მაზრის უფროსმა დეპუტატებს აჩვენა დატუსადებულები. თ. ლ. დადეშქელიანმა დაამშვიდა ისინი და უთხრა რომ მისთვის მავნებელია ძალიან განთავისუფლება, მით უმეტეს რომ თავს დამნაშავედ არა ვთვლი, ამას ბევრი სისხლის ღვრა მოჰყვება, რადგანაც ცაგერში ერთი როტა სალდათი დგასო, დეპუტატები დაბრუნდნენ და ხალხს გადასცეს მისი სიტყვები. ამ დღესვე შეიკრიბა ცაგერის საზოგადოება და დეპუტატები გაუგზავნეს მაზრის უფროსს და მოსთხოვეს თ. დადეშქელიანის განთავისუფლება, იმათაც იგივე პასუხი მიიღეს, რაც სხვებმა,

6 მაისს, ხალხი ახლად შეიარა მურის ხიდს ზევით რა იქნება, ძნელი სათქმელია. ცაგერის მცხოვრებნი ძლიერ შეშინებული არიან.

ვინმე.

რიონგალმის კუთხე (ქუთაისის მაზრა). აპრილის 30, ამა კუთხის ექვსი საზოგადოების მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, შეკრიბნენ ერთად ორ ადგილას, რიცხვით ათი-ათასამდე, და მოახდინეს მიტინგი. დაადგინეს—იუქმონ ყოველ წელს პირველი მაისი, მოითხოვეს პოლიტიკური თავისუფლება, კიდეც ამართეს დროშები და სიმღერებით გამართნენ პირველ ადგილიდან მეორისაკენ, საიდანაც უნდა შემოკრებებოდა მეორე კრება დროშებით, მაგრამ აღარ მოხერხდა, რადგან ამ მეორე კრებას თავს წაადგა ბოქაული კაზაკებით.

უხუთის საზოგადოებაში ამას წინად მოკლეს ვიღაც ერთი უცნობი ყმაწვილი 22—23 წლისა, რომელსაც ტყვია ჰქონდა მოხვედრილი მისივე თოფისაგან, მაგრამ თოფი კი არ გამოჩნდა. არ იციან, მოკლა ვინმემ და თოფი წაართვა, თუ ყეცრად მისივე თოფით მოკვდა. მოკლული უნდა იყოს გურული, როგორც იქაურები ამბობენ. გამომძიებელმა და მაზრის ექიმმა შეამოწმეს მკვდარი.

ვლადო ბზვანელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 მაისი.

ტოკიო, 19 მაისი („დეილი ტელ."). ტოგოსთან მყოფი კორესპონდენტი ასე აწერს საზღვაო ბრძოლას: რუსები, სრუტეში შაბათს, დილის 5 საათზე შევიდნენ. იაპონიის ფლოტიც ადგილიდან დაიძრა და რუსეთის ესკადრას კუნძულ იკისკენ მიაწყდა, მაგრამ როჟესტვენსკიმ იკის გვერდი აუქცია. იაპონელთა მეორე ესკადრა რუსეთის ესკადრას წინ გაუძღვა. ბრძოლა დაიწყო. ტოგოს გემები რუსეთის ესკადრის ფრონტსა და ორივე ფრთებს სიგძეზე ესროდნენ. რუსებმა ყუმანი დაიწყეს და შედრკნენ. იაპონელებმა გაიორკეცეს მეცადინეობა. ორ საათზე ზარბაზნების გრიალი უმაღლეს წერტილამდე მივიდა. ბრძოლა საშინლად გამწვავდა. რუსები ნელ-ნელა მიდიოდნენ ჩრდილოეთისკენ. იაპონელთა ერთი ესკადრა რუსებს მარჯვენივ მისდევდა, მეორე—მარცხნივ, მესამე წინ მიუძღოდა. რუსები ხაფანგში მოემწყვდნენ. სამიდან ხუთ საათამდის ჩაიძირნენ „კამჩატკა" და „ადმირალ ნახიმოვი". რუსები მთლად აირ-დაირივნენ. წესრიგი სულ დაირღვა. გემები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. იაპონელები უფრო მიუახლოვდნენ და რუსებს ნაგოტოსკენ მიაწვნენ. საღამოს ქარი მიწყდა. კაშკაში ღამე იყო. ღამე რუსებს ნაღმოსნები მიესივნენ. დიდმა გემებმაც ხელი შეუწყეს. ამ ღამეს იაპონელებმა ჩასძირეს „ალექსანდრე III" „ოსლიაბია", „ნავარინ", „ორიოლ" (?) და „ურალ". ცანი-იადისას იაპონელები რუსებიან ახლო მივიდნენ. ბრძოლამ მთელი დღე გასტანა. რუსები ნამდვილად აღარ ეწინაღმდეგებოდნენ, ბრძოლის დროს „ვლადიმირ მონომახმა" თეთრი ბაირაღი აუშვა და დამორჩილდა. 160 მეზღვაური ცუსიმას მეციხოვნე ჯარს დანებდა.

ტოკიო, 18 მაისი (რეიტ.). „ჟემჩუგის" დაღუპვა ჯერ არ გამართლებულა. ამბობენ, „ავრორა" დაიღუპაო. როჟესტვენსკი დაჭრილია შუბლსა, ორივე ფეხსა და ზურგში. მისი მორჩენის იმედი აქვთ. ამბობენ, ადმირალი ფელკერზამი დაიღუპაო.

ტოკიო, 18 მაისი. ადმირალი როჟესტვენსკი სასებოში მოიყვანეს და საზღვაო საავადმყოფოში მოათავსეს. საზღვაო სამინისტრო აცხადებს, რომ კორეის სრუტეში იაპონელებმა სამი ნაღმოსანი დაკარგესო.

ვაშინგტონი, 18 მაისი (რეიტერი). ამერიკის ტოკიელი ელჩი სახელმწიფო დეპარტამენტს დეპეშით ატყობინებს, იაპონელებმა შეიპყრეს ორი საავადმყოფო-გემი, რომელზედაც ეჭვი შეიტანეს—საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენო. საავადმყოფო-გემები სასებოში მოიყვანეს. რუსის ოფიცრებს, უეჭველია, პატიოსან სიტყვას ჩამოართმევენ და გაისტუმრებენო.

პარიზი, 18 მაისი. (რეიტერი). იაპონიის მთავრობასთან დაახლოვებული, მცოდნე წრეები ამტკიცებენ, რომ უკანასკნელ საზღვაო ბრძოლაში იაპონიის წყალქვეშ მავალმა ნავებმაც მიიღეს მონაწილეობა.

პერმი, 18 მაისი. 14 მაისს დემონსტრაციის დროს რამდენიმე კაცი დაატყვევეს. დაჭრილები აღმოჩნდნენ. ბაღი და იპოდრომი მეორე დღეს დაკეტეს. ქუჩებზე დარაჯთა რაზმები დადიოდნენ. საღამოთი ქალაქ გარედ ცეცხლის გაჩენის მიზეზით შეკრებილი ხალხი ქალაქისკენ გაემართა, მაგრამ ჯერ გუბერნატორის სახლამდე არც კი მისულიყო, რომ კაზაკებმა და პოლიციამ გაჰფანტეს. რამდენიმე კაცი დაიჭირეს. ხალხის შეკრება და ყრილობანი აკრძალულია. 14 და 15 მაისის დემონსტრაციების ანგარიში «საგუბერნიო უწყებებში» გამოქვეყნებული.

ომსკი, 18 მაისი. მიუხედავად იმისა, რომ გადასახლება ოფიციალურად აღკვეთილია, გადასახლებულნი მაინც თავისის ხარჯით ათასობით მიდიან. გადასახლებულთა პარტიების გასაგზავნად განსაკუთრებული კაცი გამწესდა.

პეტერბურგი, 18 მაისი. გუბერნატორებს გაუგზავნეს ბრძანება, რომ სტაროობრიადცებს, შტუნდისტებს შეუძლიათ თავისუფლად ირწმუნონ თავიანთი სარწმუნოება, არ შეუძლიათ მხოლოდ თავიანთ სარწმუნოების გამო სამხედრო ბეგარაზე უარის თქმა, მთავრობის წინააღმდეგობა და თავიანთ სარწმუნოების პროპაგანდა ხალხში; ამნაირ ბოროტმოქმედებისთვის სისხლის სამართალში მიეცემიან. სახელმწიფო სამსახურში შესვლას და დაწინაურებას სტაროობრიადცობა ან სექტანტობა არ უნდა უშლიდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ამას მოითხოვს საჭიროება.

პეტერბურგი, 19 მაისი. უმაღლეს ბრძანების ძალით განერალ-ადიუტანტი, განერალი კავალერიისა, სახელმწიფო საბჭოს წევრი გრაფი ალექსანდრე პავლეს ძე იგნატიევი ინიშნება თავმჯდომარედ განსაკუთრებულ სათათბირო კრებისა, რომელსაც ევალება სარწმუნოებრივ თავისუფლების შემოღებით არსებულ კანონმდებლობაში საჭირო ცვლილების შემუშავება.

პეტერბურგი, 18 მაისი. მუშათა საკითხის გასარკვევად კოკოვცევის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიის მეორე სხდომაზე მოსკოვის საბირჟო კომიტეტის წევრმა კრესტოვნიკოვმა კომისიაში მოწვეულ მრეწველთა მაგიერად გამოაცხადა, რომ ის უბედურება, რომელიც ეწვია რუსეთს, მათ ნებას არ აძლევს მიმდინარე საქმეებში მიიღონ რამე მონაწილეობა. მეორეს მხრივ ის საერთო არეულობა, რომელიც ახლა რუსეთშია, მოითხოვს მათგან შინ ყოფნას,—ამიტომ სთხოვენ მინისტრს, გადასდოს შემდეგისთვის ამ კომისიის და სამრეწველო გადასახადის შემმუშავებელ კომისიის სხდომებში. რაკი ხაზინას სჭირია ფული, ამიტომ 1906 წლისათვის სამრეწველო გადასახადს დროებით შეემატოს იმდენი, რამდენიც საჭირო შეიქმნებაო. მინისტრმა განაცხადა საქმის გადადება შეუძლებელი არისო, მაგრამ მრეწველები მაინც თავისას არ იშლიდნენ და ამიტომ მინისტრი იძულებული შეიქმნა გამოეცხადებინა, რომ უმათოოთაც განაგრძობს კომისიის სხდომებს, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში პირები დაესწრებიან.

პარიზი, 18 მაისი. ესპანიის მეფეს, რომელიც ღამე თეატრიდან ბრუნდებოდა, ყუმბარა ესროლეს. რამდენიმე კაცი დაიჭრა. მეფე გადარჩა. ორი კაცი დააპატიმრეს.

კალიში, 18 მაისი. მეჩექმეების გარდა თერძებიც გაიფიცნენ. ქალაქში უსაქმოდ დარჩენილი ხელოსნები დასეირნობენ. ვიცე-გუბერნატორის თავმჯდომარეობით კრება მოხდა გაფიცვების განახლების გამო.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83⅞
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	377
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	288
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	254½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	192
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ·1 II) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვის. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟეკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ საბჭოს დადგენილებით 1904 წლის, 7 დეკემბრის თარიღით, რომელიც უკვე ძალაში შევიდა, უძრავ მამულთა დამფასებელ გარდასახადზე თავის დროზე გადაუხდელობის გამო 1905 წ. 1 ივნისიდან პატრონთ ჯარიმა გარდახდებათ ცხრის მაგივრად—თორმეტი წლიური პროცენტი, ე. ი. ყოველს ვადა გადაცილებულ თვეში მანათზე 1 კაპ.

(3—1).

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა"
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное молоко Нестле.

მრთი ფინჯანი
ვან-გუტენის
კაკაოსი
ძლიერ კარგი
და ადვილად
მოსანელებელი
საუზმეა
Какао Ванъ Гутенъ
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)
Н.НИКОЛЬСКІЙ МОСКВА
(4—მეტც.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 19 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.